დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ჩივაძე

წევრები:

ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მანანა ჯაყელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარგარიტა ჯიქია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244970769

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხონის მუნიციპალიტეტი . სოფ. ქუტირი
ფაქტობრივი მისამართი	ხონი. სოფელი ქუტირი
საფოსტო ინდექსი	5900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kutiri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 26 0000443544 ,16/04/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 19 და 20 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუტირი (ერთი შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუტირი (ერთი შენობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუტირი (ერთი შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2026 წლის 19 და 20 მაისს დაწესებულებაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. მოსამზადებელ ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმა და

თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გაცნობისა და კოორდინაციის მიზნით, წინასწარ გადაეგზავნა საგანმანათლებლო დაწესებულებას.

სამუშაო პროცესი წარიმართა შერეული ფორმატით: ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა უშუალო ვიზიტი განახორციელეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; მათ ადგილზე შეისწავლეს სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საგნობრივი ექსპერტები სამუშაო პროცესში მონაწილეობდნენ დისტანციურად Teams პლატფორმის გამოყენებით. მათ დეტალურად შეისწავლეს ცალკეული საგნების / საგნობრივი მიმართულებების სწავლების პრაქტიკა, მუშაობის სპეციფიკა, ჩაატარეს გასაუბრებები პედაგოგებთან, კათედრების წარმომადგენლებთან სასკოლო კურიკულუმების შემუშავების, განვითარებისა და რეალიზების საკითხებზე.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა კომპლექსურად შეამოწმა ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები. დოკუმენტური მასალების ანალიზის პარალელურად, ჩატარდა მიზნობრივი ინტერვიუები სკოლის დირექციასთან პედაგოგიურ კოლექტივთან, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან და დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირებთან. დღის წესრიგის შესაბამისად, გასაუბრებაზე განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, მოსწავლეთა უფლებები და მათზე მორგებულ მხარდამჭერი სერვისები, უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმი.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, თანამშრომლობით და კოლეგიალურ გარემოში. სამუშაო პროცესის შემაჯამებელ ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ინფორმაცია ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების შესახებ.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
		250

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250 (ორას ორმოცდაათი)	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის 01 სეტემბრისა,** უზრუნველყოს დაწესებულებაში არსებული თანამდებობების და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება*
ინდიკატორი 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა** უზრუნველყოს თანამშრომელთა პირად საქმეებში ყველა სავალდებულო ცნობის წარმოდგენა, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად (ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ და ნასამართლობის შესახებ).* *სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა** „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები განაახლოს და შესაბამისობაში მოიყვანოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.*
ინდიკატორი 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა,** ქართულის ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების, სპორტის, სამოქალაქო განათლების პროექტის და ფიზიკის ყველა საგაკვეთილო საათის ჩატარება განუსაზღვროს პედაგოგებს, რომელთაც შესაბამისი მიმართულებით დადასტურებული აქვთ საგნობრივი კომპეტენცია; სკოლაში*

		მასწავლებლობის მაძიებლის ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სტატუსი ასახოს სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის გაზაში.
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის 31 დეკემბრისა,** შეიმუშაოს და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.* *სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის 31 დეკემბრისა,** სკოლის შენობა (შიდა და გარე პერიმეტრი) აღჭურვოს ვიდეოსათვალთვალო სისტემით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.*
ინდიკატორი 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის ივნისისა** განაახლოს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზი; სკოლის საკადასტრო მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანოს ფაქტობრივ მდგომარეობასთან.* *სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის ივნისისა** განაახლოს / ჩაანაცვლოს ფანჯრების ნაწილი, რომლებიც დამზადებულია ხის ჩარჩოსა და მინისგან, მოძველებულია და ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ თბოიზოლაციას.*
ინდიკატორი 3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის ივნისისა** უზრუნველყოს სართულებს შორის (პირველი, მეორე მესამე სართული) დამაკავშირებელი ლიფტის ან პანდუსის მოწყობა, სპორტულ დარბაზში შესასვლელი კიბეების ადაპტირება.*
ინდიკატორი 3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას*	*სკოლამ, არაუგვიანეს **მეტწილი შესაბამისობისთვის** განკუთვნილი ვადისა, აღჭურვოს დაწესებულება საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებით.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.3	*კურიკულუმში ათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით . (საბაზო და საშუალო საფეხური).*	*სკოლამ არაუგვიანეს **2027 წლის 05 მარტისა** უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა და საჭირო რესურსებით აღჭურვა.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*მიზანშეწონილია, სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბება მოხდეს მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*

ინდიკატორი 3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლას ჰქონდეს ცეცხლფარეშის თანამდებობა.*
ინდიკატორი 3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლის შინაგანაწესის შესავალში აისახოს ინფორმაცია დამამტკიცებელი ორგანოს -სამეურვეო საბჭოს შესახებ*
ინდიკატორი 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ 2026 წლის სექტემბრამდე განაახლოს მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების პირობები და დასაქმებული პედაგოგების ვალდებულებები, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №641 დადგენილების შესაბამისად.* *მიზანშეწონილია, სკოლამ დეტალურად გაწეროს სკოლის ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობებზე დასაქმების წესი.* *მიზანშეწონილია, სკოლამ შინაგანაწესში ასახოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული სავალდებულო ცნობები (ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ).*
ინდიკატორი 3.2.1.1.	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების მკაფიო ინსტრუმენტი, თანამდებობრივი ფუქნცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტის გათვალისწინებით.*
ინდიკატორი 3.3.2.1	*სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით.*

ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას....*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*
ინდიკატორი 3.4.1.7	*სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიმუშაოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის ერთიანი წესი.*
ინდიკატორი 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*მიზანშეწონილია, გონივრულ ვადებში განხორციელდეს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობის სისტემა.* *მიზანშეწონილია, რომ სკოლის შენობის უკან მდებარე ტყით დაფარული ნაკვეთი, გაიმიჯნოს ძირითადი სასკოლო სივრცისგან.*
ინდიკატორი 3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიმუშაოს მატერიალური რესურსებით სარგებლობის ერთიანი წესი.*
ინდიკატორი 3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შექმნას წიგნების სისტემატიური კატალოგი და იზრუნოს წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნებაზე.*
ინდიკატორი 3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*მიზანშეწონილია, სკოლამ საქმისწარმოების წესში შეიტანოს მითითება, რომ კოლეგიური ორგანოების ოქმები ინომრება კალენდარული წლის ფარგლებში.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.1	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი*	*მიზანშეწონილია, სკოლამ კონკრეტული სახით აღწეროს პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციის წესი*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	*რჩევა*

	(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	
ინდიკატორი 2.1.2.1 *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა*	***ესთეტიკური აღზრდა*** *(დაწყებითი, საბაზო საფეხური)*	*სკოლას მიეცა რჩევა, გაიწეროს დავალებების დამუშავების ეტაპები. საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი წარმოადგინონ ინტეგრირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოხდეს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების ადაპტირება და შემცირება (ხელოვნება — I, II, III, IV, VIII, IX კლასი; მუსიკა — V, VIII კლასი). კომპლექსური დავალებების პირობების გადამუშავება ისე, რომ სწორად იყოს ფორმულირებული და სრულად შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. პედაგოგებმა გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ რჩევას და მომავალი სასწავლო წლიდან და განახორციელებენ კურიკულუმების შესაბამის რევიზიას.*
	სახელმწიფო ენა *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია, კურიკულუმებში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში.*
	მათემატიკა *(საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია სკოლამ შეინარჩუნოს კურიკულუმების არსებული ხარისხი და კიდევ უფრო მეტად გაამრავალფეროვნოს შემოქმედებითი პროდუქტების ნუსხა*
ინდიკატორი 2.1.2.2 *კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია ბუნებისმეტყველების(1-6 კლასები) და ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის ქიმიის კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნების ქვეცნებები, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი კურიკულუმის ერთეულებს შორის.*
	მათემატიკა *(საბაზო, საშუალო საფეხური)*	*რეკომენდებულია საბაზო საშუალოს საფეხურის კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.*

ინდიკატორი 2.1.2.3 კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** (საგაზო, საშუალო საფეხური)	სასურველია გადაიხედოს ბიოლოგიის (საგაზო,საშუალო საფეხური) კურიკულუმების ელექტრონული რესურსები და მოხდეს ხარვეზის მქონე ჰიპერლინკების ჩასწორება.
	უცხოური ენები (საგაზო, საშუალო საფეხური)	სასურველია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს რესურსების ავთენტურობა და აქცენტი გაკეთდეს უფრო თანამდროვე და განახლებულ დამხმარე რესურსებზე. ენა მუდმივად ვითარდება და ცვლილებებს განიცდის, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესიც ამ ცვლილებებს თანხვედრაში მიჰყვებოდეს.
	ესთეტიკური აღზრდა (დაწყებით საგაზო საფეხური)	მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი აუდიო და ვიდეო რესურსები და მოხდეს ასახვა კურიკულუმის დოკუმენტაციაში.
	მათემატიკა (საგაზო, საშუალო საფეხური)	სასურველია სკოლამ სამივე საფეხურზე კურიკულუმებში რესურსების მითითება გახადოს უფრო სპეციფიკური და თემატური; კონკრეტული პლატფორმების დასახელებასთან ერთად მიეთითოს შესაბამისი URL მისამართები ან ვიდეო-გაკვეთილების სათაურები, რაც დაეხმარება პედაგოგებს მათ ეფექტურ გამოყენებაში. აუცილებელია მე-6 კლასის კურიკულუმში არსებული ტექნიკური ხარვეზის (გაუმართავი ბმულების) აღმოფხვრა. ასევე, სასურველია სკოლის სასწავლო გეგმაში აღიწეროს დამხმარე რესურსების შერჩევის/ვალიდაციის მექანიზმი (მაგ. კათედრაზე გუნდური განხილვის გზით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასურვველია, კათედრამ ყველა საგნის კურიკულუმისთვის ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი .
ინდიკატორი 2.1.2.4 სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური**	სასურველია, თუ კათედრა ოთხივე საგნის კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.

ინდიკატორი 2.2.1.1 *სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*უცხოური ენები* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*მუშაობის დაგეგმვისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი.* *იმ შემთხვევაში, როცა კურიკულუმში ხდება ცვლილებები, დროულად იქნეს შეტანილი შენიშვნა შესაბამის დოკუმენტში.*
	მათემატიკა *(საბაზო, საშუალო საფეხური)*	*საბაზო საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის თანმიმდევრობა ემთხვეოდეს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემათა თანმიმდევრობას. თუ კლასის საჭიროებიდან გამომდინარე საკითხები გადანაცვლებულია, დამატებულია და ა.შ. ეს ცვლილებები აისახოს კურიკულუმებშიც.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სასურველია მოეწყოს კათედრის წევრების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანამიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.*
ინდიკატორი 2.2.1.3 *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*მათემატიკა* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*ეხება ყველა საფეხურს. სასურველია შეფასების რუბრიკების არსებობა ყველა თემის შესაბამისად რაც გაწერილია კურიკულემებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ამ რუბრიკებში ქულათა განაწილებას.*
ინდიკატორი 2.2.2.2 *სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*მათემატიკა* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.*
ინდიკატორი		

2.2.2.3 *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*უცხოური ენები* *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	*სასურველია, უცხოური ენების კათედრისთვის ცალკე იყოს გამოყოფილი აუდიო აპარატურა.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც წარმოდგენილი იქნა სკოლის მიერ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის და მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ:

პირველ სტანდარტში, 1.2.1.1 ინდიკატორთან გამოვლენილი შეუსაბამობის საპასუხოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა დირექტორის ბრძანება „მისიის ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების დამტკიცების შესახებ“ (MES 2 26 0000744978; 15/06/2026) და ასევე შესწორებული დოკუმენტი; აღნიშნული ინდიკატორი განისაზღვრა შესაბამისობაში; 1.2.1.2 და 1.2.1.3 ინდიკატორებთან მიმართებაში არსებული შეუსაბამობის საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება (MES 5 26 0000711283; 12/06/2026) სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სკოლის პედაგოგების / დამრიგებლების მოხსენებითი ბარათები (2026 წ. ივნისი), მისიის ხედვის, ღირებულებების და სტარტეგიული დაგეგმარების ჯგუფის ოქმი (N1, 10.06.2026), სამეურვეო საბჭოს ოქმი შვიდწლიანი სტარტეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ, (N 8; 15.06.2026), 2025-2032 წწ. სტრატეგიული და 2025-2026 წწ. სამოქმედო გეგმები (იგივე მიზნებით). აღნიშნული ინდიკატორები განისაზღვრა, როგორც შესაბამისი. მთლიანობაში პირველი სტანდარტი განისაზღვრა, როგორც შესაბამისი.

3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, დაწესებულებაში არსებული თანამდებობების და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტის შემუშავებას და დამტკიცებას უფლებამოსილი პირის მიერ სკოლა უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2026 წლის 01 სეტემბრისა, აღნიშნული ინდიკატორი განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში; 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებაში არსებული შეუსაბამობის საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა დასაქმებული პირების სავალდებულო ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი, სრულად აღნიშნული ცნობების წარმოდგენას და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში" ცვლილებების შეტანას სკოლა უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა; 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებაში არსებული შეუსაბამობის საპასუხოდ, სკოლა გეგმავს სკოლაში ქართულის ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების, სპორტის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადება, კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმებას. ცალკე არ არის გამოკვეთილი ფიზიკის, სამოქალაქო განათლების პროექტის საათების, მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის ელექტრონულ ბაზაში ასახვის საკითხი; სკოლა ცვლილებას უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა, ინდიკატორი ჩაითვალა მეტწილ შესაბამისობაში. 3.3.1.3 ინდიკატორთან მიმართებაში არსებული შეუსაბამობის საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესწორებული „დისციპლინური კომიტეტის დებულება", რომლის მიხედვით დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება საჩივრდება სამეურვეო საბჭოში (მითითებულია, რომ დამტკიცებულია საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის 11.06.2026 წლის N9 ოქმით). ინდიკატორი ჩაითვალა დასრულებულად. 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებაში არსებული შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლა 2026 წლის 31 დეკემბრამდე შეათანხმებს უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას და ამავე პერიოდში შენობას აღჭურვავს ვიდეოსათვალთვალო სისტემით; სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N 003949126; 03/06/2026), რომლის მიხედვით სკოლის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის; აღნიშნული ინდიკატორი განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში; 3.5.1.1 ინდიკატორთან არსებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, სკოლა განაახლებს შენობა-ნაგებობების აზომვით ნახაზს და საკადასტრო მონაცემებს ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოიყვანს არაუგვიანეს 2027 წლის ივნისისა, ამავე პერიოდში უზრუნველყოფს ხის ჩარჩოსგან დამზადებული ფანჯრების განახლებას; ინდიკატორი 3.5.1.1 განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში; 3.5.1.4 ინდკატორში არსებული შეუსაბამობის საპასუხოდ სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახა პრობლემის მოგვარების ვადები, რომლის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს სართულებზე გადასაადგილებლად პანდუსის ან ლიფტის დამონტაჟებას და სპორტულ დარბაზში შესასვლელ კიბეებთან პანდუსის მოწყობას არაუგვიანეს 2027 წლის ივნისისა, ინდიკატორი განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში; 3.6.1.1 ინდიკატორთან მიმართებაში არსებული შეუსაბამობის საპასუხოდ, სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო კომპიუტერების შესყიდვას 2026 წლის 31 იანვრამდე პერიოდში. თარიღი წარმოდგენილია შეცდომით; შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულ ინდიკატორზე განსაზღვრულია მეტწილი შესაბამისობა, აქედან გამომდინარე განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში. მთლიანობაში მეორე სტანდარტი განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში.

მეორე სტანდარტში განსაზღვრულია რეკომენდაცია, რომლის მიხედვით სკოლამ 2027 წლის 05 მარტამდე პერიოდში უნდა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა. ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაში და გამომდინარე აქედან მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია.მეოთხე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც თანხმობაში მოდის ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

სკოლის მისიაა, მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული უსაფრთხო, ხარისხიანი სასწავლო პროცესის ორგანიზებით, გამოავლინოს და განავითაროს მოსწავლეთა შესაძლებლობები, უნარები, ხელი შეუწყოს მათ ჩამოყალიბებას სიახლის მაძიებელ განათლებულ, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნებებად, აზიაროს მეცნიერებათა საფუძვლებს და დაეხმაროს პროფესიულ ორიენტაციაში.

წარმოდგენილი ხედვის მიხედვით, სკოლამ უნდა შექმნას უსაფრთხო გარემო და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვით, უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მიცემა მოსწავლეების განსხვავებული საწყისი მონაცემების, უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, რაც იქნება საფუძველი აღზარდოს კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეები.

სკოლა აცხადებს, რომ მიზნის მიღწევის პროცესში ორგანიზაცია ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით: სამართლიანობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა, ობიექტურობა, მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა.

ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი მისია და ხედვა მკაფიოდ ასახავს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო, ხარისხიან, პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ეს როლი რამდენიმე ძირითადი ასპექტით დასტურდება: მისიაში და ხედვაში ხაზგასმულია სკოლამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოს შექმნა და სასაწავლო პროცესის ორგანიზება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, რაც ქმნის საფუძველს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობისთვის; სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლეთა პოტენციალის, უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაზე რათა ჩამოაყალიბოს ისინი სიახლის მაძიებელ, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნებებად; დაწესებულება საკუთარ თავს განიხილავს, როგორც დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდის კერას, სადაც ურთიერთობები ემყარება სამართლიანობას, ურთიერთპატივისცემას, გამჭირვალეობას, თანამშრომლობას; სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს თავის მოსწავლეებს პროფესიულ ორიენტაციაში, რაც მომავლისთვის მზაობის ხელშემწყობი ფაქტორია.

ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას შემუშავებული აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება უნდა ხდებოდეს თანამონაწილეობის და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, რაც პირველ რიგში გულისხმობს სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომლის შემადგენლობაში შედიან ადმინისტრაციასთან ერთად სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები). სამუშაო ჯგუფმა უნდა განახორციელოს სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვა, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზი; მისიის ხედვისა და ღირებულებების პირველადი პროექტი უკუკავშირის მიღების მიზნით უნდა გაუზიარდეს სასკოლო საზოგადოებას, წარმოდგენილი რეკომენდაციების და რჩევების განხილვის საფუძველზე კი დოკუმენტი მიიღებს საბოლოო სახეს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის / მტკიცებულებების მიხედვით სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ასახულია შვიდწლიან სტრატეგიული გეგმაში, ასევე წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში (მისია და ხედვა), რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საკითხის განხილვის პროცესში ჩართული იყო სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომლის შემადგენლობა არ არის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ასახული შემადგენლობის იდენტური.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბება მოხდეს მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობა მრავალფეროვანია, მასში უნდა შედიოდნენ სკოლის დირექციის წარმომადგენლები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები / წარმომადგენლები კათედრებიდან, მოსწავლე / წარმომადგენელი მოსწავლეთა თვითმმართველობიდან, მშობელი, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებას სამუშაო პროცესში და მათ თანამონაწილეობას. დაგეგმვის პირველი ეტაპი კი არის ინფორმაციის შეგროვება სასკოლო საზოგადოებიდან. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მისიის ხედვის და ღირებულებების გაზიარება უნდა მოხდეს სასკოლო საზოგადოებასა და თემის წარმომადგენლებთან, ხოლო გაზიარების მექანიზმებს წარმოადგენს ელექტრონული ფოსტა ან/ და ღია შეხვედრა და საჯარო განხილვა ან/და სხვა ღონისძიებები.

სკოლაში ჩამოყალიბებული იყო სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები, სპეციალური მასწავლებელი, კურიკულუმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის ექთანი, მშობელი, ვებგვერდზე ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა, მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სტრატეგიული გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი განხილული იქნა სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს მიერ, რომელიც სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრით არის წარმოდგენილი.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს მისიის ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას და შემუშავებული აქვს რეკომენდებული მექანიზმების ჩამონათვალი: ელექტრონული ფოსტა ან/ და ღია შეხვედრა და საჯარო განხილვა ან/და სხვა ღონისძიებები.

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის საერთო სივრცეში მატერიალური სახით, ასევე გამოქვეყნებულია სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge). გარდა ამისა შეტანილია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლებიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 1.1.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების №2 დანართის შესაბამისად; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდებას სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 1.1.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (08.09.2025)*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ (MES 0 25 0001866421; 03/09/2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარ სკოლის სამურვეო საბჭოს ოქმი N 2 (08.09.2025)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 2 (02.09.2025)*
- *„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა არის თანამონაწილეობითი პროცესი, რომელიც ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც გულისხმობს პროცესების სამუშაო ფორმატში წარმართვას და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების გაზიარებას. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს დაგეგმვის პროცესში ჩართულ მხარეებს და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას ან შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას; გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით კი, სკოლა მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროცესების გამჭვირვალეობა; მეთოდოლოგია განსაზღვრავს ანგარიშვალდებულების სისტემას, რომლის მიხედვით განსაზღვრული პერიოდულობით, დაწესებულება ამზადებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მათ საჯაროობას სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.
დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყებას წინ უძღვის სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაო პროცესების წარმართვაზე და ახორციელებს პროცესების კოორდინაციას. ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოადგილე. დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით, რომლის მიღება ხდება სასკოლო საზოგადოების

წევრებისგან. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სკოლის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების/ჩატარებული კვლევების ანალიზი და სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესების შეფასებისა და ანალიზის შედეგები. დაგეგმვის პროცესში სკოლა იყენებს SWOT მეთოდოლოგიას, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების გაანალიზების მიზნით. სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვით შეფასებიდან გამომდინარე კი უნდა შედგეს სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთწლიანი პერიოდით მოქმედებს და ხელს უნდა უწყობდეს სტრატეგიული გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მე-8 თავის მე-16 მუხლის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტო №785 ბრძანებით „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“, დირექტორი სკოლის განვითარების სტრატეგიას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

<u>**გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები:**</u>
„მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების წესი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტო №785 ბრძანებას „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“. სკოლამ წარმოადგინა განახლებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (თავი 8, მუხლი 16). ცვლილება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით (MES 2 26 0000744978, 15/06/2026)
ინდიკატორი 1.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც შესაბამისობაში მოდის სკოლის მიერ განცხადებულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან. აღნიშნულ გეგმაში განცხადებულია შემდეგი გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები:
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება (ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა; სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება; აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.); ადამიანური რესურსის განვითარება, (პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება; საუკეთესო კადრების მოზიდვა; ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება); მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

(საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება; საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება; ფინანსური მდგრადობა.); უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; უსაფრთხოების ნორმების დაცვა; უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.); სასკოლო საზოგადოების ჩართულობა (მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა; მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში; მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა; მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა; მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება.); მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება (მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა; დამატებითი სერვისების განვითარება; მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება); ორგანიზაციული განვითარება (სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; სკოლის ცნობადობის გაზრდა; სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება).

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (08.05.2025); ამავე სხდომაზე არის დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, შესაბამისად არ არის გათვალისწინებული საკმარისი დროის შუალედი, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შედგენა მომხდარიყო მეთოდოლოგიის შესაბამისად. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, რომელიც არ არის წარმოდგენილი დირექტორის ბრძანებაში სტრატეგიული ჯგუფის დამტკიცების შესახებ.

<u>**გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები:**</u>

„მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების და დამტკიცების მეთოდოლოგია შესაბამისობაში არ მოდიოდა სკოლის მიერ აღნიშნული დოკუმენტის დაგეგმვის პრაქტიკასთან; სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის არ იყო დაკომპლექტებული მეთოდოლოგიის მოთხოვნის მიხედვით.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ'' N 1866421 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ გათვალისწინებით განახლდა სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობა. ასევე წარმოდგენილ იქნა აღნიშნული ჯგუფის მუშაობის / ჯგუფთან თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტაცია (მოხსენებითი ბარათები, 2026 წ. ივნისი; მისიის ხედვის ღირებულებების და სტარტეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1, 10.06.2026)

სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი (N 8, 15.06.2026), რომლის თანახმად მოხდა შვიდწლიანი სტარტეგიული გეგმის ცვლილებების და დაზუსტებების განხილვა; ასევე წარმოდგენილი იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული გრძელვადიანი გეგმა. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული მიზნები და გეგმის მოქმედების წლები არის იგივე (2025-2032 წწ.).

ინდიკატორი 1.2.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში ორიენტირებული არის შემდეგი მიზნების მიღწევაზე: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. სკოლას განსაზღვრული აქვს აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები, საჭირო რესურსები და შესრულების მტკიცებულებები. წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სკოლის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმასთან.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ, (08.05.2025); ამავე სხდომაზე არის დამტკიცებული სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიის მიხედვით, დაგეგმვის სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, რომელიც არ არის წარმოდგენილი დირექტორის ბრძანებაში სტრატეგიული ჯგუფის დამტკიცების შესახებ.

<u>გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები:</u>

„მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების და დამტკიცების მეთოდოლოგია შესაბამისობაში არ მოდიოდა სკოლის მიერ აღნიშნული დოკუმენტის დაგეგმვის პრაქტიკასთან. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი არ არის დაკომპლექტებული მეთოდოლოგიის მოთხოვნის მიხედვით.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ'' N 1866421 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ გათვალისწინებით განახლდა სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობა. ასევე წარმოდგენილი იქნა აღნიშნული ჯგუფის მუშაობის / ჯგუფთან თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტაცია (მოხსენებითი ბარათები, 2026 წ. ივნისი; მისიის ხედვის ღირებულებების და სტარტეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1, 10.06.2026)

სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი (N 8, 15.06.2026), რომლის თანახმად მოხდა შვიდწლიანი სტარტეგიული გეგმის ცვლილებების და დაზუსტებების განხილვა; ასევე წარმოდგენილი იქნა სამერვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ გეგმაში გაწერილი მიზნები და გეგმის მოქმედების წლები არის იგივე (2025-2026 წწ.)

ინდიკატორი 1.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის 2025 -2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მოიცავს გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებულ ამოცანებს, აქტივობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მიზნების მისაღწევად, ასევე პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს (ზოგადი სახით). მაგალითად, სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდის მიღწევს ერთერთ გზად, სკოლა სახავს შიდა სასკოლო პროექტების დანერგვას და მართვას, აღნიშნული აქტივობების განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელნი არიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგნობრივი კათედრები, მტკიცებულებას წარმოადგენს პროექტის პროგრამები, ფოტო-ვიდეო მასალა; გეგმის უზრუნველყოფას დასჭირდება სხვადასხვა სახის რესურსი (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური).

ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (08.09.2025)*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ (03/09/2025, MES 0 25 0001866421)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარ სკოლის სამურვეო საბჭოს ოქმი N 2 (08.09.2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 08.09.2025 წ.)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *კითხვარი მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვისა და გეგმის განხორციელების პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს. მეთოდოლოგია არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ინტენსიურობის საკითხებს. კონკრეტულად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს; სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში და ეს პროცესი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, რომ განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგი. შეფასებისა და მონიტორინგის პროცესს კოორდინაციას უწევს სკოლის დირექტორის მოადგილე.

მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს მათში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, შეფასების შედეგები კი სკოლის მენეჯმენტს უნდა აძლევდეს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია დაფუძნებულია სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობასა და უკუკავშირზე. ეს პროცესი განმტკიცებულია შესაბამისი მექანიზმებით: სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი, როგორც აღნიშნული იყო მეთოდოლოგიის დოკუმენტში, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება და განსაზღვრული არის მასზე პასუხისმგებელი პირი/ პირები.

მეთოდოლოგიის დოკუმენტი გვთავაზობს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ალტერნატიულ გზებს: პირველი ალტერნატივა არის ელექტრონული დრაივის გამოყენება; სკოლამ უნდა უზრუნველყოს დრაივზე სამოქმედო გეგმის ფაილის გაზიარება, აღნიშნულ ფაილზე წვდომა აქვთ დირექტორს, სამუშაო ჯგუფის წევრებს და შესრულებაზე პასუხიმგებელ პირებს. პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან შეიტანონ ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ; ასევე იწერება ანგარიში, რომელიც ნარატივის სახით აიტვირთება გაიზარებულ საქაღალდეში. მეორე ალტერნატივას წარმოადგენს წერილობითი ანგარიშების წარდგენა, რომლის მიხედვით იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს წარუდგენენ წერილობით ანგარიშს და შესაბამის მტკიცებულებას; იმართება გაერთიანებული შეხვედრა პასუხისმგებელი პირების ჩართულობით, სადაც ხდება შესრულებული აქტივობების განხილვა და შეფასება.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები მენეჯმენტს ინფორმაციას არსებული გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელება დასაშვებია სასკოლო საზოგადოების წევრთა უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლა გამოხატავს მზაობას, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება შემუშავებული მექანიზმის შესაბამისად.

ინდიკატორი 1.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც ინფორმაციას წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სამოქმედო გეგმის ანგარიში უნდა დაიწეროს ნარატიული ფორმით. სკოლა უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში/სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, წარადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, გამოიყენოს ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან და ა. შ.

სამეურვეოს მიერ დამტკიცებული ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე. ინფორმაციის გაზიარებისათვის კი განსაზღვრულია შემდეგი მექანიზმები: სკოლის ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, ბეჭდვითი მასალები - ე.წ. “ხილვადი მასალა”. საჯაროობის უზრუნველყოფა წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვისა ძირითად მიდგომას და პრინციპს.

ინდიკატორი 1.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საშუალებით სკოლა ახდენს რეალური გამოწვევების იდენტიფიცირებას, რეაგირებს მათზე და იყენებს გრძელვადიანი სასწავლო თუ მმართველობით პროცესების გაუმჯობესებისთვის. დოკუმენტის მიხედვით შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროებების განსაზღვრას. სამოქმედო და გრძელვადიანი გეგმების შეფასების შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; სკოლის ხელმძღვანელობა იღებს ინფორმაციას პროცესის ხარისხიანობისს პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ. შეფასების შედეგებს კი სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 08.09.2025 წ.)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 08.09.2025 წ.)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (08.09.2025)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის პერსონალი, საშტატო განრიგის მიხედვით, განსაზღვრული არის 35 ერთეულით. საშტატო ნუსხაში წარმოდგენილი არის შემდეგი თანამდებობები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ - ტექნიკური კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი (23); სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა განსაზღვრული არის შემდეგი პირებით: ექთანი (1), სპეციალური საგანმანათლებლო პირის ასისტენტი (1), დამლაგებელი (2), დარაჯი (2). სკოლა არ აქვს ცეცხლფარეშის თანამდებობა.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი საგნობრივი კათედრები: ქართული ენის კათედრა, უცხოური ენების კათედრა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, მათემატიკის კათედრა, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდისა კათედრა, დაწყებითი კლასების კათედრა. სკოლას შემუშავებული აქვს ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ამსახველი დებულება, მაგალითად „დისციპლინური კომიტეტის დებულება“, „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“. სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული არის შრომითი ხელშეკრულებები,

სადაც მათი უფლება-მოვალეობები არის ასახული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურის ამსახველი დოკუმენტი მოიცავს სკოლაში არსებულ თანამდებობებს და სტრუქტურულ ერთეულებს (სქემატურად), მაგრამ არ არის ასახული მათი ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურული ერთეულები, საქმიანობის პროცესში ითვალისწინებენ მოქმედ კანონმდებლობას. აღსანიშნავია, რომს სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი" განსაზღვრავს სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის შექმნას (მუხლი 9), სადაც გაწერილი უნდა იყოს თანამდებობების დასახელება, სტრუქტურული ერთეულების, შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები, სამუშაო პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვ. ამ ეტაპზე, სკოლას არ აქვს მსგავსი დოკუმენტი შემუშავებული.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლას ჰქონდეს ცეცხლფარეშის თანამდებობა.

<u>გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა:</u>

სკოლას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული დაწესებულებაში არსებული თანამდებობების და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი. გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დაწესებულებაში არსებული თანამდებობების და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ **2026 წლის** ივნისიდან ამავე **წლის 1 სექტემბრამდე** პერიოდში.

ინდიკატორი 3.1.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლაში დასაქმებული პირები და სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს მოქმედი კანონმდებლობის, შრომითი ხელშეკრულებების, არსებული შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია დასაქმებული პირის მოვალეობები და გათვალისწინებულია ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულების აუცილებლობა. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია სკოლის პედაგოგებით. ის განიხილავს სასკოლო სასწავლო გეგმას, სასწავლო პროცესში საჭირო რესურსებს, კურიკულუმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ა.შ. სამეურვეო საბჭო წარმოდგენილია პედაგოგებით, მშობლებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებით; ის განიხილავს და ამტკიცებს სკოლის სტრატეგიულ გეგმას, იბარებს დირექტორის მიერ წარდგენილ წლიურ ანგარიშებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ და ა.შ.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სტრუქტურა*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ (MES 8 25 0001866546; 18.12.2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი.*
- *წერილი საშტატო განრიგის შეთანხმების შესახებ (MES 5 26 0000265360, 05/03/2026)*
- *სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები N 1, N2 (2025-2026 სასწ. წ.)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ , 07.02.2026. ოქმი N 6)*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმები N 2, N3, N 4, N 7, (2025-2026 სასწ. წ.)*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებული პერსონალია მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებს, კერძოდ აღწერილია ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულება და გაცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი, სხვა პირობები. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მისი ნაწილი არის შინაგანაწესი. მასწავლებლებთან, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული არის მათი პროფესიული სტატუსის შესაბამისად.

სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით, სკოლა კი ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14

კალენდარული დღის ვადაში. შინაგანაწესით განისაზღვრება: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები და სხვა. შინაგანაწესს სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ხოლო შინაგანაწესის გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით სამეურვეო საბჭოს მიერ (მუხლი 27).

სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც წარმოადგენს თანმიმდევრულ სახელმძღვანელო მითითებებს და აცხადებს დაწესებულების პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით, დოკუმენტის მიზანია, შექმნას ისეთ გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენას და რეალიზება, მათ პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლის შინაგანაწესის შესავალში აისახოს ინფორმაცია დოკუმენტის დამამტკიცებელი ორგანოს - სამეურვეო საბჭოს შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის ერთერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ადამიანური რესურსის განვითარება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწ. წ.), რომელიც განსაზღვრავს მიზნის შესაბამის ამოცანებს. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლის ერთერთი ამოცანა არის პერსონალის მართვის პოლიტიკის გაუმჯობესება და აღნიშნული ამოცანის რეალიზების მიზნით სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას., მათ შორის პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის დაგეგმვას და თანამშრომელთა პროფესიული საჭიროების კვლევას, განსაზღვრული არის პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები. სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით სკოლას პერსონალთან მიმართებაში გააჩნია საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა; რაც გულისხმობს იმას, რომ პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად ვლინდება განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები; დაწესებულება სისტემატურად უნდა აფასებდეს პერსონალის მუშაობას და გამოყოფდეს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ხოლო შეფასების შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმილი მიზნობრივი განვითარების პროცესი ასახული უნდა იყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტში. პერსონალის მართვის პრევენციული პოლიტიკის ნაწილია მხარდამჭერი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს ახალი თანამშრომლის ადაპტაციაზე ზრუნვას და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამავე დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომლის ინიციატივით ხელშეკრულების

შემთხვევაში, პირი ვალდებულია სკოლას აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს 30 კალენდარული დღით ადრე, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, რათა თავიდან იქნას აცილებული საკადრო დეფიციტი. სკოლის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისთვის ჯერ კიდევ არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური. სკოლაში საჭიროებისამებრ გათვალისწინებულია მოწვეული ან შემცვლელი მასწავლებლის დასაქმება, საჭიროების შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული აქვს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის ეტაპებიც.
სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია შექმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო პირობები, შეასრულოს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები და გაატაროს საჭირო ღონისძიებების შესაბამისი მიმართულებით.
ინდიკატორი 3.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი" განსაზღვრავს კადრების მოზიდვისა და შერჩევის პოლიტიკას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ობიექტურობა, რაც ნიშნავს რომ პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მიუკერძოებელი; გამჭვირვალეობა, რაც გულისხმობს, რომ შერჩევის მეთოდები და კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი დაინტერესებული პირებისთვის.
დოკუმენტის მიხედვით, პირი მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე. კონკურსის მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N 174 / ნ ბრძანებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ინტერნეტში შესაბამის ვებგვერდზე და სკოლის საინფორმაციო სივრცეში. კონკურის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი კომისია, რომელც იქმნება დირექტორის ბრძანებით, არანაკლებ ხუთი წევრისა: დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, განათლების და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, რესურსცენტრის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი და სხვა. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუკი ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არა ნაკლებ სამი წევრისა. დოკუმენტი განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების ეტაპებს. კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით გათვალისწინებულისა საპრეტენზიო კომისიის შექმნა.
სკოლის სხვა თანამშრომლების დასაქმების საკითხები „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში" ზოგადად არის გაწერილი, რომლის მიხედვით პროცესი უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე. დაწესებულება ქმნის ვაკანტური პოზიციის

განაცხადს სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით და საკვალიფიკაციო მოთხოვნების და კანონმდებლობის გათვალიწინებით უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. დოკუმენტში ასახული სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები საჭიროებს განახლებას.

აღსანიშნავია, რომ სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი არის ადამიანური რესურსის განვითარება, რაც გულისხმობს შემდეგი ამოცანების განხორციელებას: პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება, საუკეთესო კადრების მოზიდვა;

სკოლში მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძვლად განსაზღვრულია 2019 წლის № 241 დადგენილება, რომელიც ძალადაკარგულია. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლამ დაიწყო ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის პროცესი საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის № 641 დადგენილების შესაბამისად.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დასაქმების რეგულაციები სკოლაში დასაქმებულ პირებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინონ სავალდებულო ცნობები („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად). სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეებში არ ინახებოდა თერთმეტი ცნობა უფლების ჩამორთმევის, რვა - სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ და ოცდაექვსი ცნობა ნასამართლობის შესახებ.

რჩევა:

მიზანშეწონილია, რომ სკოლამ 2026 წლის სექტემბრამდე განაახლოს მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების პირობები და დასაქმებული პედაგოგების ვალდებულებები, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №641 დადგენილების შესაბამისად.

მიზანშეწონილია, სკოლამ დეტალურად გაწეროს სკოლის ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობებზე დასაქმების წესი.

მიზანშეწონილია, სკოლამ შინაგანაწესში ასახოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული სავალდებულო ცნობები (ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ).

<u>გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები:</u>

თანამშრომელთა პირად საქმეებში არ ინახება 11 ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, 8 ცნობა - სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ და 26 ცნობა - ნასამართლობის შესახებ; არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წამოადგინა ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი (არ არის წარმოდგენილი 2 ცნობა ნასამართლობის შესახებ, 3 ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ, 4 ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ). გეგმის თანახმად, სავალდებულო ცნობები სრულად მოპოვებული იქნება **2026 წლის** მაისიდან ამავე წლის **სექტემბრამდე** პერიოდში.

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები საჭიროებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას. გეგმის თანახმად, სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოყვანას სკოლა უზრუნველყოფს იქნება **2026 წლის** მაისიდან ამავე წლის **სექტემბრამდე** პერიოდში.

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

საშტატო განრიგის, შრომითი ხელშეკრულებების და ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, სკოლაში დასაქმებულია არიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, 23 მასწავლებელი, ექთანი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 2 დამლაგებელი და 2 დარაჯი; სულ 31 პირი.

ამ ეტაპზე სკოლაში დასაქმებული არის 23 მასწავლებელი. მათგან 18 არის უფროსი, 1 -წამყვანი, 1 - სპეციალური მასწავლებელი, 1 - მაძიებელი, 2 პედაგოგს არა აქვს დადასტურებული პროფესიული კომპეტენცია (მათ შორის ერთი, ბაზაში ასახული მონაცემით, მოწვეული პედაგოგია). ქართული ენისა და ლიტერატურის (7 სთ), მე და საზოგადოების (4 სთ), სპორტის (6 სთ) საგაკვეთილო საათების ნაწილს, სამოქალაქო განათლების პროექტის (2 სთ) და ფიზიკის საათებს (12 სთ) ატარებენ პედაგოგები, რომელთაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია შესაბამისი მიმართულებით. ასევე აღსანიშნავია, რომ მასწავლებლობის მაძიებლის ხელშეკრულებით დასაქმებული პირის (ქიმიის პედაგოგი) შესაბამისი სტატუსი (მასწავლებლობის მაძიებელი) არ არის ასახული სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში. პედაგოგთა უმრავლესობის კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან“ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

<u>**გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა:**</u>

სკოლაში ქართულის ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების, სპორტის საგაკვეთილო საათების ნაწილს, სამოქალაქო განათლების პროექტის და ფიზიკის საგაკვეთილო საათებს ატარებენ პედაგოგები, რომელთაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია შესაბამისი მიმართულებით; სკოლაში მასწავლებლობის მაძიებლის ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სტატუსი არ არის ასახული სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში. გეგმის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს სკოლაში ქართულის ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების, სპორტის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადებას, კონკურსის შედეგების საფუძველზე კვალფიციური მასწავლებლების დასაქმებას და ხელშეკრულებების გაფორმებას **2026 წლის** მაისიდან ამავე წლის **სექტემბრამდე** პერიოდში. შესაბამისობის გეგმაში არ არის მითითებული სამოქალაქო განათლების პროექტის, ფიზიკის საათების, მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის ასახვის საკითხი.

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა სხვასთან ერთად ეფუძნება თანასწორობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და მონაწილეობის პრინციპებს, რომლის მიხედვით ყველა თანამშრომლის მიმართ უნდა ვლინდებოდეს ერთგვაროვანი მიდგომა, პერსონალს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა თავისი მიზნების მისაღწევად, დაწესებულება კი უნდა უზრუნველყოფდეს შესრულებული სამუშაოს შეფასები პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, დასაქმებულის საქმიანობის მრავალმხრივი შეფასება, მხარდაჭერაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს ნდობაზე დაფუძნებული, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას.
სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული: პედაგოგიური საბჭო წარმოდგენილია სკოლაში დასაქმებული ყველა პედაგოგით; სამეურვეო საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტის, მრჩეველთა საბჭოში საქმიანობაში ჩართული არიან პედაგოგების, მშობლების, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რაც ნიშნავს იმას რომ სკოლაში არსებობს მონაწილეობითი კულტურა და გადაწყვეტილებები ფართო ჩართულობით და კონსესუსით მიიღება.
ინდიკატორი 3.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა მიღწევების წარმოჩენას, მათ აღიარებას, დაგროვილი გამოცდილების კოლეგებისთვის გაზიარებას. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და მისი გამოყენების წესი. სკოლა თანამშრომელთა წახალისებას მიმართავს შრომითი ხელშეკრულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულისა და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში თავის გამოჩენისთვის. წახალისებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და სხვა.

თანამშრომელთა მოტივირების და წარმატებული გამოცდილების მექანიზმი ასახული არის ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც მოიცავს წახალისების მატერიალურ და არამატერიალურ ფორმებს და წარმოადგენს თანამშრომლობის თვალსაჩინო აღიარებას.

ინდიკატორი 3.1.2.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ (MES 8 25 0001866546; 18.12.2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, 07.02.2026. ოქმი N 6)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი*
- *სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები (2025-2026 სასწ.წ.)*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმები (2025-2026 სასწ.წ.)*
- *სკოლაში დასაქმებული პირების პირადი საქმეები.*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ (MES 6 25 0001070295; 03/09/2025)*
- *მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ოქმები (2025 წლის სექტემბერი)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები წარმოდგენილი არის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება სისტემატიურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. დოკუმენტის მიხედვით, შეფასების სისტემა ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა, გამოცდილებაზე დაყრდნობა, კოლაბორაციული კვლევა - ძიება, სწავლა მოქმედებისთვის. დოკუმენტი ჩამოთვლის შეფასების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცა, შეფასება ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება და სხვა. შეფასების ეტაპებად კი მოიაზრება დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება, საბოლოო შეფასება.
სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება, რომლის ერთერთი აქტივობა არის თანამშრომლის პროფესიული საჭიროებების კვლევა და შესაბამისი აქტივობები დაგეგმილია მიდინარე წლის განმავლობაში. პროცესზე პასუხისმგებელი პირის არის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, შესრულების ინდიკატორს კი წარმოადგენს კითხვარების ანალიზი, გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი და სხვა.
სკოლაში მასწავლებელთა შიდა შეფასებისა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა (12.12.2020) ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის უფლებამოსილებაში განსაზღვრულია მასწავლებლის შიდა შეფასება, მასწავლებელთან ერთად ყოველი სემესტრის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული სტრატეგიების განხილვა, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა და ა.შ.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების მკაფიო ინსტრუმენტი, თანამდებობრივი ფუქნცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 3.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ მიხედვით პერსონალის მიერ შესრულებელი სამუშაოს შეფასების საფუძველზე გეგმავს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი გაერთიანების პროცესს. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში კი უნდა აისახოს შესაბამის აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. პერსონალის განვითარების ხედვა და პოლიტიკა დამყარებულია შემდეგ პრინციპებზე: მოქნილობა, სწავლის მხარდაჭერა, შეფასება როგორც სწავლის საშუალება, უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება. შეფასება განხილული არის როგორც კონსტრუქციული უკუკავშირის ინსტრუმენტი, რომელიც დაფუძნებული კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, და ორიენტირებულია სისტემურ და დიფერენცირებულ ანალიზზე.

როგორც აღნიშნული იყო, სკოლის მიმდინარე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია აქტივობები: თანამშრომელთა პროფესიული საჭიორებების კვლევა, წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება; შესრულების ინდიკატორებად კი დასახელებულია ჩატარებული შეხვედრების ანგარიშები, ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კითხვარების ანალიზი, გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი.

ინდიკატორი 3.2.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

პერსონალის კარიერული ზრდის საკითხების ამსახველი შიდა რეგულაციები განსაზღვრული არის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სკოლა პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლაში პერსონალის კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა კი შემდეგ საკვანძო პრინციპებზე არის დაფუძნებული: პროფესიული განვითარება მუდმივი პროცესია, რომელიც ყოველდღიურად მიმდინარეობს, და თან ახლავს ახალი მცდელობები, პერსპექტივები, ხედვები და რეფლექსიები; კოლეგების კონსტრუქციულ უკუკავშირსა და გუნდური

მუშაობაზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლებას აძლევს სასკოლო საზოგადოების წევრებს; ნდობასა და მხარდაჭერაზე დაფუძნებული გარემო, რომელიც პერსონალის შესაძლებლობების წარმოჩენაზე არის ორიენტირებული. სკოლის შინაგანაწესი კრძალავს შრომით დისკრიმინაციას და ხაზს უსვამს კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობას პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე საქმიანობის სფეროს მიუხედავად; ასევე კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ყველა ფორმის ხელმისაწვდომობას, პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით.

ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას მიღებული და დამტკიცებული აქვს ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა. ის წარმოადგენს წესს, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული ადამიანების ადაპტაციას სამუშაო თანამდებობით გათვალისწინებულ საქმიანობასთან, მათ ეფექტურ ინტეგრაციას სამუშაოს, სოციალურ გარემოსა და სკოლის კულტურასა და ღირებულებებთან; სკოლის მიზანია უზრუნველყოს სკოლის სტრუქტურაში დასაქმებული თანამშრომლის საქმიანობის ხელშეწყობისა და სკოლის ღირებულებების წახალისებისთვის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის ერთიანი მიდგომებისა და სტანდარტების არსებობას.

ადაპტაციის წესი, პირველ რიგში ვრცელდება ახალ თანამშრომლებზე, რომლებიც საჭიროებენ სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას და სოცილიაზაციას; მეორეს მხრივ წესი ვრცელდება იმ თანამშრომლებზე რომლებიც სკოლის შიგნით სხვა პოზიციაზე გადაინაცვლებენ და ახალ როლში უწევთ ცოდნისა და უნარების შეძენა; ასევე იმ თანამშრომლებზე, რომლებსაც აქვთ კარიერული წყვეტა და გარკვეული პერიოდის შემდეგ უბრუნდებიან სამუშაოს. მოიცავს შეზუდული შესაძლებლობების პირების სამუშაოზე ადაპტაციის საკითხებს. პროცედურა უნდა დაეხმაროს შესაბამისი საჭიროების მქონე თანამშრომლებს ეფექტურ ადაპტაციასა და ინტეგრაციაში. წესში გაწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ფაზები, რომელიც მაქსიმუმ, სამი თვის განმავლობაში გრძელდება.

ახალ თანამშრომელს სკოლის დირექტორი წარუდგენს კოლეგებს, გააცნობს სამუშაო გარემოს; დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია ახალი თანამშრომლის კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე, მისთვის მიზნების დასახვასა და დავალებების მიცემაზე, შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და უკუკავშირზე, გუნდში ინტეგრაციასა და სამუშაო გარემოს ხელშეწყობაზე. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის შესახებ თანამშრომლისგან უკუკავშირის მიღების მიზნით, რომლითაც უნდა შეფასდეს გაწეული სამუშაოს წარმატების ეფექტურობა.

ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ ასახავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ზოგად ჩარჩოს. დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული განვითარება წარმოადგენს დაწესებულების ერთერთ წამყვან ღირებულებას და ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლა მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლამ უნდა შესთავაზოს თანამშრომლებს პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მეთოდები; პროფესიული განვითარების პროცესი ორიენტირებული არის პერსონალის შესაძლებლობების წარმოჩენასა და განვითარებაზე; სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობისა და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ ინოვაციური ხედვები.

შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში გათვალისწინებულია პერსონალის წახალისების მექანიზმი არსებობა, რაც გულისხმობს იმ თანამშრომლების მატერიალურ ან არამატერიალური სახით წახალისებას, რომლებმაც შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მაღალი პროფესიონალიზმით შეასრულეს, პროფესიულ საქმიანობაში მიაღწიეს წარმატებას და ა.შ. გარდა ამისა სკოლის მიმდინარე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია წარმატებული პრაქტიკის / ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების და სემინარების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მიწოდება და სხვ.

ინდიკატორი 3.2.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ - -აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მასწავლებელთა შიდა შეფასებისა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით , ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ (დირექტორის ბრძანება N1კ/ 18; 12/12/2020)*

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-20206 სასწ. წ.*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ახალი თანამშრომლის*
- *სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა (დამტკიცებული სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით, MES 2 25 0001867783 , 05/09/2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ , 07.02.2026. ოქმი N 6)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანთლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად წარმართვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“, რომლის მიხედვით სკოლაში ხორციელდება პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მიზანია სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული სისტემური შეფასება და მუდმივი განახლება. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორის მოადგილე. დოკუმენტის მიხედვით, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს: სკოლის პროცესებთან / კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება, პროცესების/ კურიკულუმის შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ ხაზს უსვამს სკოლაში გრძელვადიანი და ერთწლიანი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ციკლურ ბუნებას. სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია, ხოლო სკოლის სამოქმედო გეგმა ერთლწლიანია და ემთხვევა სასწავლო წელს, მისი შედგენა ხდება სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე. სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას განსაზღვრული პერიოდულობით; შეფასების შედეგებს კი დაწესებულება იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცედურებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს შედმეგ ეტაპებს: კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია, რაც ნიშნავს იმას რომ თანხვედრაში არის ხარისხის უზრუნველყოფის ციკლთან.

ინდიკატორი 3.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულებაში აღწერილია და კლასიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება; დებულება განსაზღვრავს პროცესის აღმწერი დოკუმენტების

სტრუქტურას და მის შემუშავებაზე პასუხისმგებლობის საკითხებს. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესის კავშირი სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან, აღწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში.

ინდიკატორი 3.3.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც სავალდებულო სახით ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე, მშობლებზე და მათ კანონიერ წარმომადგენლებზე. დოკუმენტი მოიცავს საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საკითხებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დასაქმებულთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების დაცვის მექანიზმებს. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში შემოსული განცხადება/ საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლების შესაბამისად. შინაგანაწესი მოიცავს მოსწავლისა და სკოლაში დასაქმებული პირის დისციპლინური გადაცდომის სახეებს და მათზე პასუხისმგებლების ფორმებს. მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად.

სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განცხადებსა და საჩივრის განხილვის წესი, რომლის მიზანია, რომ სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცესი იყოს თანმიმდევრული და ჰქონდეს ორგანიზებული სახე. მასში აღწერილია სკოლაში საჩივრის / განცხადების განხილვის პრინციპები, წარდგენის წესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი და რეაგირების ვადები; დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში წარდგენილი საჩივარი/განცხადება განიხილება ობიექტურობისა და სამართლიანობის, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, კანონმდებლობისა და წესის შესაბამისად დადგენილ ვადებში.

სკოლაში ფუნქცინირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თანაბრად არის წარმოდგენილი მოსწავლეებით, მშობლებით, და პედაგოგებით. მისი ფუნქციონირება რეგულირდება შესაბამისი დებულებით, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტის მიზნებსა და ამოცანებს, უფლება მოვალეობებს, მუშაობის წესს, გადაწყვეტილების მიღების გასაჩივრების, საქმისწარმოების საკითხებს. დებულების მიხედვით, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება საჩივრდება დირექტორთან (მუხლი 4.4) რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

<u>**გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები:**</u>

სკოლის „დისციპლინური კომიტეტის დებულებაში“ აღწერილი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა შესაბამისობაში არ მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა განახლებული დისციპლინური კომიტეტის დებულება (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომის 11.06.2026 წლის N9 ოქმით), რომლის მიხედვით სკოლის დირექტორის ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მასწავლებლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით, საჩივრდება სამეურვეო საბჭოში. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის VII მუხლი საჭიროებს დამუშავებას.

ინდიკატორი 3.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში პერსონალის, მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობით, შიდა სამართლებრივი აქტებით, პასუხიმგებელი პირების / სტრუქტურული ერთეულების საქმიანობთ. პირველ რიგში, კანონიერი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ვრცელდება დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეთა მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. მასში სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრული არის წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლასა და მშობელს კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული არის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და არეგულირებს მხარეთა ვალდებულებებს და უფლებამოსილებებს. ხელშეკრულების ნაწილი არის სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობას მშობელი / კანონიერი წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს.

სკოლას დამტკიცებული აქვს „მშობელთან ურთიერთობის დებულება“, რომლის მიხედვით მშობელი უფლებამოსილია მოთხოვოს მაღალკვალიფიციური სასწავლო პროცესი, მოსწავლის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება, ობიექტური შეფასება და სხვა. გარდა ამისა, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესით“, რომელიც არეგულირებს საჩივრის/ განცხადების ობიექტურად და სამართლიანად განხილვას, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, შესაბამის ვადებში. სკოლაში მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომელიც განსაზღვრავს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურებს და უზრუნველყოფს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას

ინდიკატორი 3.3.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება (დამტკიცებული სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით MES 5 26 0000282136, 15/01/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ, 02.09.2025, ოქმი N 1)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ , 08.09.2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დამტკიცებული დირექტორის მ/შ ბრძანებით, MES 7 25 0001866545, 15/12/2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 08.09.2025 წ.)*
- *სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N 1, 0.11.2025 ;*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება (დამტკიცებული დირექტორის მ/შ ბრძანებით MES 1 25 00001867782; 11/09/2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით MES 2 26 0000294941; 16/01/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებისთ MES 4 26 0000286159; 16/01/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფის შიდა მარეგულირებელი აქტების საჯაროობას მატერიალურად სკოლის საინფორმაციო სივრცეში ან სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლამ შინაგანაწესი უნდა განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას. სასკოლო საზოგადოებისთვის შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადისა; შინაგანაწესით განსაზღვრული არის კონკრეტული დრო, როდესაც ყველა მასწავლებელი არის ვალდებული იმყოფებოდეს სკოლაში და მშობელს კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.

სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულებაში განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია, რომლის მიხედვით სკოლა იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს, როგორიცაა მშობელთა კრებები, ონლაინ პალტფორმები, ინდივიდუალური შეხვედრები, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელებში. სკოლამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო და რიგგარეშე კრებების ჩატარება ასევე მშობლებთან / კანონიერ წარმომადგენლებთან დაგეგმილი საგანმანათლებლო საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარება.

სკოლის კურკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებად განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრს, როგორიცაა მოწავლეები, მშობლები, მასწავლებლები; დოკუმენტის მიხედვით პროცესში მონაწილოება გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობას და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას: სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია ინფორმაციის გაზიარებისთვის საჭირო საკომუნიკაციო არხები, კერძოდ სკოლის ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, ბეჭდვითი მასალები - ე.წ."ხილვადი მასალა და წარმოდგენილი არის ინფორმაციის გაზიარების სქემა, სამიზნე ჯგუფით და რეკომენდებული გაზიარების მექანიზმებით. მეთოდოლოგიური დოკუმენტები მოიცავს უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმებს.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით. ***ინდიკატორი 3.3.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს მართვის კოლეგიური ორგანოები, რომლებიც დაკომპლექტებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილი არიან სამივე საფეხურის მშობლები, პედაგოგები მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე; პედაგოგიური საბჭო წარმოდგენილი არის სკოლაში დასაქმებული ყველა პედაგოგით; სკოლის დისციპლინური კომიტეტი წარმოდგენილია თანაბარი რაოდენობის მოსწავლეებით, მშობლებით პედაგოგებით (ჯამურად ექვსი წევრით). სკოლში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექტორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმართველობის თავმჯდომარე, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი. კოლეგიური ორგანოები მოქმედებენ თავიანთი უფლებამოსილების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ, 02.09.2025, ოქმი N 1)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ , 08.09.2025)*
- *სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმები, 2025-2026 სასწ.წ.*
- *სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები 20252026 სასწ. წ.*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმი 20.12.2025*
- *დისციპლინური კომიტეტის ოქმი 03.11.2025*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ გრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ (MES 8 25 0001866546, 18/12/2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკიცებული დირექტორის მ/შ გრძანებით MES 2 26 0000294941; 16/01/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება (დამტკიცებული დირექტორის მ/შ გრძანებით, MES 1 25 0001867782, 11/09/2025)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სასკოლო დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და სხვა მოქმედი საკანონმდებლო

აქტებით. სკოლას შემუშავებული აქვს და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“, რომლის მიზანია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევის ფაქტებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად , ფსიქოლოგიურად ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა, ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

სკოლა წარმოადგენს სამსართულიან ნაგებობას, რომელსაც არ ჩატარებია სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების სამივე სართულზე განლაგებულია ორ-ორი ცეცხლმაქრი. შიდა სივრცეები არ არის აღჭურვილი კვამლის დეტექტორებით, ხანძარსაწინააღმდეგო ონკანებით, სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (MES 5 26 0000260770; 04/03/2026), რომლის საშულებითაც ითხოვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებას. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლა არ ჰქონდა მოპოვებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლაში, თითოეულ სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით დაწესებულება 04.03.2026 - 05.03.2027 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული დასკვნის მოპოვებას. სკოლას გაგზავნილი აქვს მიმართვა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში აღნიშნული დასკვნის მოპოვების მიზნით

სკოლას არ ემსახურება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, თუმცა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც გავლილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგი.

არასამუშაო საათებში შენობის დაცვას უზრუნველყოფს ორი დარაჯი, რომელთა თანამდებობაც განსაზღვრული არის საშტატო განრიგით და დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეო სათვალთვალო სისტემით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

<u>გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები:</u>

- სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილი ორგანოსთან **2026 წლის** ივნისიდან ამავე წლის **31 დეკემბრამდე** პერიოდში.

- სკოლის შენობა (შიდა და გარე პერიმეტრი) არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. გეგმის თანახმად, სკოლის შენობის (შიდა და გარე პერიმეტრი) აღჭურვა ვიდეოსათვალთვალო სისტემით მოხდება **2026 წლის** ივნისიდან ამავე წლის **31 დეკემბრამდე** პერიოდში.
- **სკოლაზე გაცემული იყო რეკომენდაცია, რომლის მიხედვით** სკოლას არაუგვიანეს **2027 წლის 05 მარტისა** უნდა უზრუნველეყო უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N 003949126; 03/06/2026), რომლის თანახმად: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის (ს.კ 37.10. 38.184) #01/3 სასწავლო კორპუსის და სპორტული დარბაზის შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის. დასკვნის კვლევით ნაწილში აღნიშნულია, რომ შენობაში შეინიშნება მხოლოდ ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის დამახასიათებელი დაზიანებები.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის პირველ სართულზე განთავსებული არის სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მიზნით. ოთხას აქვს ხელოვნური და ბუნებრივი განათება, დამონტაჟებულის ხელსაბანი, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია სამედიცინო დახმარების გასაწევად საჭირო ინვენტარით და საშუალებებით. სამუშაო გარემო მოწყობილია ფუნქციურად და დაცულის სისუფთავე და წესრიგი. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხაში გათვალისწინებულია ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალის, კერძოდ ექთნის თანამდებობა. აღნიშნულ პოზიცია დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ექთანი ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებას და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას. სამედიცინო კაბინეტში გამოკრულია პირველადი დახმარების პროტოკოლი.

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში

ხელმძღვანელობს მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებით; სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილ პირი. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც ასევე ჩართული არიან სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პროცესში. სკოლა ახორციელებს სკოლის ტერიტორიაზე შემოსული უცხო პირების რეგისტრაციას.

სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექტორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმართველობის თავმჯდომარე, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი. საბჭო განიხილავს სასკოლო დროს უსაფრთხოებსა და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დირექტორს რეაგირებისთვის.

მოსწავლის მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლე უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი. სკოლაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული ცხელი ხაზის ნომრები. სასკოლოს წესრიგის დაცვა უზრუნველყოფილია შინაგანაწესის, სხვა შიდა და ზოგადი სამართლებრივი აქტების საფუძველზე

ინდიკატორი 3.4.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ვალდებულია წლის განმავლობაში განსაზღვრული პერიოდულობით აწარმოოს საგანმანათლებლო საინფორმაციო კამპანია მოსწავლეებისთვის: ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგის, კიბერბულინგის წინააღმდეგ. ამ მიზნით გათვალისწინებულის დისკუსიების, დებატების, როლური თამაშების, კვირეულების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ვალდებულია ოჯახური ძალადობის, ბულინგის, შვილებთან ეფექტური კომუნიკაციის და სხვა აქტუალურ საკითხებზე საგანანმანათლებლო საინფორმაციო კამპანია აწარმოოს ასევე მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან. სკოლას შემუშავებული აქვს ბავშვთა მიმართა განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ -ჰიგიენური დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, განსაზღვრულია სკოლის „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში“, სადაც დეტალურად არის გაწერილი სკოლის ვალდებულებები და კონკრეტული სტანდარტები, რომელიც მოიცავს ყოველდღიურ დასუფთავებას (ზედაპირებიდან მტვერის გადაწმენდა, იატაკის გამოგვა - დარეცხვა, სველი წერტილების დეზინფიცირება და სხვა); ყოველკვირეული დასუფთავება (ავეჯის გაპრიალება, სანაგვე ურნების რეცხა დეზინფექცია, 3 მ -ზე მაღალი ზედაპირების დასუფთავება და სხვ.) ყოველკვირეული და გენერალური დასუფთავება (კომპიუტერული ტექნიკის, ფანჯრების წმენდა და სხვა); სანიტარულ ჰიგიენური ნორმების ეფექტიანი აღსრულების და მუდმივი კონტროლის მიზნით გათვალისწინებულია მონიტორინგის პროცესი, რომელიც უნდა განხორციელდეს კვირაში არანაკლებ სამჯერ. მონიტორინგზე პასუხისმგებელი ერთერთი პირი არის მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს ორი დამლაგებელი, რომელთა ვალდებულებები და ფუნქციები გაწერილი არის მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. დამლაგებლები უზრუნველყოფენ შენობის ფართის მოწესრიგებას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. სკოლის შენობა მარაგდება საჭირო სარეცხი და სადეზინფექციო საშულებებით, რომლებიც ინახება იზოლირებულ ოთახში, რათა არ იყოს ხელმისაწვდომი არაუფლებამოსილი პირებისთვის. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობასა და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილი იყო საჭირო საშუალებებით და რესურსებით.

ინდიკატორი 3.4.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრანებით დამტკიცებული არის „სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ , მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. სკოლაში მონაცემთა დამუშავება ხორციელდება შემდეგი პრინციპებით: მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნებისთვის (პროპორციულად), საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს მონაცემების განახლება, გათვალიწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების დაცვა; კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული მონაცემები უნდა წაიშალოს და სხვა. სკოლაში პერსონალური მონაცემების მონიტორინგი სისტემატიურად უნდა განხორციელდეს პასუხისმგებელი პირის მიერ. სკოლას ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელია.

ინდიკატორი 3.4.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის ინფორმაციული დაცვის მექანიზმები, მოცემულია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით ადმინისტრაციას და პედაგოგებს ეკრძალებათ კონფედენციალური / პერსონალური ინფორმაციის მონაცემების გაჟღერება, გაცემა ან არადანიშნულებისამებრ გამოყენება. უსაფრთხოების დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს უნდა გაჩნდეს ანტივირუსული პროგრამა / დამცავი ბარიერი, პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. დაუშვებელია პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებგვერდზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წელიწადში ერთხელ სავალდებულოა მოსწავლეების და მშობლების ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის მიხედვით, სკოლაში მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები უნდა ინახებოდეს დაცულ ადგილას, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის საქმისმწარმოებელს. პირადი საქმეების წარმოებისას მონაცემთა დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს კანონმდებლობით გათვალისიწინებული წესით და მასზე წვდომა ჰქონდეთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მოსწავლეების და დასაქმებული პირების პირადი საქმეების ინახებოდა იზოლირებულად, ჩაკეტილ კარადაში და საქმისმწარმოებელს პასუხისმგებლობის ქვეშ. გარდა ამისა, სკოლას დოკუმენტაციის უსაფრთხო შენახვის მიზნით გამოყოფილი აქვს ცალკეული, იზოლირებული საარქივო ოთახი. სკოლის არქივის დაცვა ხელშეკრულებით განსაზღვრული არის საქმისმწარმოებლის უფლებამოსილებაში.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიმუშაოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის ერთიანი წესი.

ინდიკატორი 3.4.1.7 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორცილებს ადამინებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნციონირების პერიოდულ შეფასებას და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე, რაც სისტემურად არის გამოხატული სკოლის 2025 -2026 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებები, ხაზგასმულია მრჩეველთა საბჭოს როლი სკოლაში უსაფრთხოებისა და პოზიტიური გარემოს შექმნისათვის რეკომენდაციების შემუშავებისა და პროექტების ორგანიზების საკითხში, გაწერილია პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები კონკრეტული ვადები,

რომლებიც ნათლად აჩვენებს რომ უსაფრთხოების მექანიზმების შეფასება და განვითარება წარმოადგენს სტაბილურ, განმეორებად პროცესს.

ინდიკატორი 3.4.1.8 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 07.02.2026)*
- *სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (MES 5 26 0000260770; 04/03/2026) შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების საკითხზე.*
- *სკოლის დირექტორის წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსადმი, ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვების შესახებ (MES 0 26 0000261314, 04/03/2026)*
- *პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ (MES 7 25 0001806640, 25/11/2025)*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმი 20.12.2025*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ (MES 8 25 0001866546, 18/12/2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის დებულება (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით MES 4 26 0000286159, 16/01/2026)*
- *სკოლასა და მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება*
- *სკოლის საშტატო განრიგი 2026 წ.*
- *მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ (ბრძანება 2-168; 15/12/2017)*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი .*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლა მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირში. სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (N 882026002038, 08/01/2026) სკოლის განკარგულებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 37.10.38.184) ფართობის არის 30 707.00 კვ.მ. ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე მდებარეობს შემდეგი შენობა-ნაგებობებები N 01-783.8 კვ.მ; N 02-16.5 კვ.მ; N 03-37.4 კვ.მ; N 04-10.4 კვ.მ; სკოლის მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, პირველი სართულის ფართობი არის 612 კვ.მ. მეორე სართულის 406 კვ. მ მესამე სართული 406 კვ. მ; ჯამური ფართობია 1424 კვ.მ. შენობა ნაგებობების რაოდენობა და ფართობი შესაბამისობაში არ მოდის რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან. ქონების მესაკუთრე არის სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე კი - სკოლა.
შენობა საბჭოთა პერიოდში არის აშენებული და კომპლექსური ტიპისაა: ძირითადი სასწავლო კორპუსი სამსართულიანია, რომელიც სპეციალური დერეფნით უკავშირდება სპორტდარბაზს. ამავე დერეფანში მდებარეობს სპორტდარბაზის გასახდელი ოთახები. სპორტდარბაზს აქვს ხის იატაკი, მეტალო-პლასტმასის ფანჯრები.

სკოლის პირველ სართულზე განთავსებული არის საკლასო ოთახები, დირექტორის მოადგილის ოთახი, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სველი წერტილები, სხვა ოთახები დამხმარე / სათავსო ფუნქციით. სველი წერტილები განთავსებულია დერეფნის ბოლოში და მოიცავს მოსწავლე გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, პედაგოგებისთვის.

მეორე სართულზე მდებარეობს საკლასო ოთახები, სკოლის დირექტორის ოთახი, კანცელარია, სამასწავლებლო, სათავსო ოთახი.

მესამე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი, სკოლის ბიბლიოთეკა, მუსიკის ოთახი, დამხმარე ოთახი.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 99 მოსწავლე და გახსნილი იყო 12 კლასი. საკლასო ოთახები აღჭურვილი არის ინდივიდუალური მერხებით, დაფებით და სხვა აუცილებელი ინვენტარით. დირექციისაგან მიღებული ინფორმაციით, სკოლა, საჭიროების შესაბამისად, ინდივიდუალური მერხების მოთხოვნით მიმართავს საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის საკითხზე. სკოლის მესამე სართულზე განთავსებული არის კომპიუტერული ტექნოლოგიების ოთახი, რომელიც ორი პერსონალური კომპიუტერით არის აღჭურვილი.

სკოლის სამივე სართულს გასდევს გრძელი, სწორხაზოვანი დერეფნები, რომლის ერთ მხარეს განლაგებულია ოთახები, ხოლო მეორე მხარეს ფანჯრების მწკრივი, საიდანაც უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათება.

სკოლის ინფრასტრუქტურას არ ჩატარებია კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოძველებულია და განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ ცვეთას. საერთო სარგებლობის სივრცეებში (დერეფნებში, კიბის უჯრედი), ასევე საკლასო ოთახების ნაწილში კედლების საფარი მეტწილად დაზიანებულია და შეინიშნება ბათქაშის ცვენა; ასევე შენობის ზედა სართულებზე, ჭერს და კედლებზე შესამჩნევი არის წყლისა და ნესტის კვალი. კაბინეტებსა და საკლასო ოთახებში იატაკები მეტწილად ხის, არათანაბარი/ არაერთგვაროვანია. რამდენიმე საკლასო ოთახი გარემონტებულია სკოლის შესაძლებლობებით. დერეფნები/კიბის უჯრედებში გასასვლელი სივრცეები დაფარულია ფილოვანი საფარით, რომელიც ცალკეულ ადგილებში ასევე საჭიროებს განახლებას. სკოლის ელექტროგაყვანილობა მოძველებულია. შენობის კუთხეებში, ფასადზე განთავსებულია ვერტიკალური წყალსაწრეტი მილები, რომლებიც, ვიზუალური დათვალიერებით, ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას და შესაცვლელია.

სკოლას არ აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა. დაწესებულების გათბობა უზრუნველყოფილი არის ოთახებში სეზონური საჭიროების შესაბამისად განთავსებული შეშის ღუმელებით. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საჭირო საწვავი მასალის (შეშის) შესყიდვას.

სკოლაში ფანჯრების ნაწილი შეცვლილი არის თანამედროვე მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე დერეფნის ფანჯრები სრულად არის შეცვლილი. საკლასო ოთახების ფანჯრების მნიშვნელოვანი ნაწილი კი შესაცვლელია. ისინი დამზდებულია ხის ჩარჩოსა და მინისგან, მაგრამ უკვე მოძველებულია და ვიზუალური დათვალიერებით, ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ თბოიზოლაციას.

შენობის ეზო მოცულობითია და ტერიტორიის ნაწილი ამაჟამად არ გამოიყენება. სკოლა და მისი მიმდებარე სივრცე ლითონის ბადით არის იზოლირებული ეზოს იმ ნაწილისაგან, რომელსაც არ აქვს ფუნქციური დატვირთვა. იზოლირებულ ტერიტორიაზე დგას ორი ნაგებობა: 1. გარე სველი წერტილი, რომელიც აღარ გამოიყენება, 2. სატრანსფორმატორო ქვესადგური, რომელიც მოქმედია. მესამე, ადრე არსებული შენობა უკვე დაშლილია.

სკოლის ეზოში მდებარეობს სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი ღია სივრცე, რომელიც აღჭურვილია ფეხბურთის კარებებით. ეზო ბუნებრივი (ბალახის) საფარით არის დაფარული. ის საჭიროებს სადრენაჟო სისტემის მოწყობას.

სკოლის ეზოს ნაწილი (შენობის უკანა მხარე) ტყითა და ბუჩქნარით არის დაფარული და არ არის გამიჯნული ძირითადი სასკოლო სივრცისგან. სკოლის გარე პერიმეტრი მიმდებარე ქუჩიდან გამიჯნულია ლითონის მესერის ღობით. სკოლას აქვს ლითონის ცენტრალური შესასვლელი ჭიშკარი.

რჩევა:

- მიზანშეწონილია, გონივრულ ვადებში განხორციელდეს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობის სისტემა.
- მიზანშეწონილია, რომ სკოლის შენობის უკან მდებარე ტყით დაფარული ნაკვეთი, გაიმიჯნოს ძირითადი სასკოლო სივრცისგან.

<u>გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები:</u>

- სკოლის შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზი საჭიროებს განახლებას; სკოლის საკადასტრო მონაცემები საჭიროებს ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას. გეგმის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს სკოლის შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზის განახლებას, სკოლის საკადასტრო მონაცემების განახლებას, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას 2026 წლის ივნისიდან **2027 წლის ივნისამდე** პერიოდში.
- სკოლის ფანჯრების ნაწილი, რომლებიც დამზადებულია ხის ჩარჩოსა და მინისგან, მოძველებულია და ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ თბოიზოლაციას (ვიზუალური დათვალიერებით). გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს ხის ჩარჩოსგან დამზადებული ფანჯრების განახლებას 2026 წლის ივნისიდან **2027 წლის ივნისამდე** პერიოდში.

ინდიკატორი 3.5.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი არის სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, მიის ფუნქციას ასრულებს მუსიკის ოთახი, სადაც იმართება სახვადასხვა სასკოლო ღონისძიებანი. გარდა ამისა, სკოლას აქვს

ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი არის სამკითხველოს ფუნქციით. ბიბლიოთეკის დებულების მიხედვით, ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალს, მასწავლებლებს, მოსწავლეთა მშობლებს. მათ შეუძლიათ, ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად წიგნით ისარგებლონ ადგილზე ან მიიღონ დროებით სარგებლობაში. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, სადაც მცირერიცხოვანი ტექნიკა არის წარმოდგენილი, თუმცა საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომი არის მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის. გარდა ამისა სასკოლო საზოგადოებას შეიძლია ისარგებლოს სპორტული დარბაზი, ღია სასკოლო სივრცეებით, თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპით, სკოლაში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შეიმუშაოს მატერიალური რესურსებით სარგებლობის ერთიანი წესი.

ინდიკატორი 3.5.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შენობის მესამე სართულზე არის განთავსებული. ბიბლიოთეკა ერთდროულად მოიცავს წიგნების შესანახ ადგილს და სამკითხველო სივრცეს. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი არის 3208 გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელო; ასევე მხატვრულ, სამეცნიერო და პროფესიულ ლიტერატურას მათ შორის (მათ შორის 21 წიგნი შეძენილია გრანტით). მხატვრული სამეცნიერო და პროფესიული ლიტერატურა საკმაოდ მცირეა და არ არის მრავალფეროვანი. ლიტერატურის ნაწილი განახლებულია, ნაწილი კი მოძველებული ერთეულებით არის წარმოდგენილი. თაროებზე წიგნები ანბანურად არის დალაგებული. ისინი დამუშავებულია ბეჭდით.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით მუშაობის დებულება, სადაც გაწერილი არის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ფუნქცია და მოვალეობები, ბიბლიოთეკით სარგებლობის რეგულაციები, სამკითხველო დარბაზში ქცევს წესები. ბიბლიოთეკიდან წიგნის გაცემა არ ხდება, თუ მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არის, ამ შემთხვევაში მკითხველი წიგნს უნდა გაეცნოს სამკითხველო დარბაზში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული მკითხველის ქცევის წესები და ბიბლიოთეკის დებულება.

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შექმნას წიგნების სისტემატიური კატალოგი და იზრუნოს წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნებაზე.

ინდიკატორი 3.5.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლა ზრუნავს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნაზე. შენობის მთავარ შესასვლელში მოწყობილი არის ბეტონის პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს გარე სივრციდან სკოლის პირველ სართულთან კომუნიკაციას, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის. შენობის პირველ სართულზე განთავსებული არის ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც ასევე შენობის პირველ სართულზე არის განთავსებული. ოთახი აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით და სასწავლო რესურსებით. შენობას არ გააჩნია ლიფტი ან სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსები. სკოლის სპორტულ დარბაზთან დამაკავშირებელი კიბე ასევე არ არის ადაპტირებული. შენობის მეორე და მესამე სართულზე განთავსებული არის ადმინისტრაციული და საკლასო ოთახები. ლაბორატორიები, შესაბამისად დაწესებულებას აქვს საჭიროება, რომ თანაბრად უზრუნველყოს ადმინისტრაციული მომსახურება და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების შესაბამისი სივრცეების ხელმისაწვდომობა ყველა პირისთვის.

<u>**გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა:**</u>

სკოლას არ აქვს სართულებს შორის (პირველი, მეორე მესამე სართული) დამაკავშირებელი ლიფტი ან პანდუსი. სპორტულ დარბაზში შესასვლელი კიბეები არ არის ადაპტირებული. გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს სართულებზე გადასაადგილებლად პანდუსის ან ლიფტის დამონტაჟებას და სპორტულ დარბაზში შესასვლელ კიბეებთან პანდუსის მოწყობას 2026 წლის ივნისიდან **2027 წლის ივნისამდე** პერიოდში

ინდიკატორი 3.5.1.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლი მატერიალური ბაზა, მიუხედავად იმისა, რომ განახლებას საჭიროებს, მხარს უჭერს მოსწავლეთა ჩართულობას კულტურულ, სპორტულ, სოციალურ ინიციატივებში. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი მუსიკის ოთახი, ასევე დერეფნებში არსებული სივრცეები გუნდური თანამშრომლობის, იდეების გაცვლის ადგილს წარმოადგენს. გარემო მოსწავლეებს ეხმარება საკუთრი ნიჭისა და შესაძლებლობების წარმოჩენაში, ხელს უწყობს მათი სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, საზოგადოებრივ ინტეგრაციას.

ინდიკატორი 3.5.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საჯარო რეესტრის ამონაწერი (N 882026002038, 08/01/2026)*
- *შენობა -ნაგებობების აზომვითი ნახაზი*
- *სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი კომპიუტერების და პრინტერების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის საკითხზე (MES 4 26 0000148206; 11/02/2026).*
- *სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის საკითხზე. (MES 9 26 0000255923; 04/03/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (07.02.2026)*
- *დირექტორის მ/შ ბრძანება სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯაროს სკოლაში ბიბლიოთეკის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ (MES 3 26 0000287319; 12/01/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ბიბლიოთიკის დებულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულების მესამე სართულზე განთავსებული არის კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი არის ორი პერსონალური კომპიუტერით. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, მათგან ერთი იყო მუშა მდგომარეობაში. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერების რაოდენობა არ შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N 572 ბრძანებას (09.08.2011) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ". სკოლას აქვს ერთი პროექტორი. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხი.

სკოლის სამასწავლებლოში დგას ერთი კომპიუტერი და პრინტერი; სკოლის დირექტორთან და კანცელარიაში დგას 2 პერსონალური კომპიუტერი, 2 ნოუთბუქი, 3 პრინტერი. კომპიუტერული ტექნოლოგების ოთახი, ადმინისტრაციული ოთახები უზრუნველყოფილი არის ინტერნეტით. კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას, სკოლის ინტერნეტ ქსელით მომსახურებას, უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის ადმინისტრაციას აქვს ელექტრონული საქმისწარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობა (კომპიუტერები, პრინტერები, სკანერი). სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში.

<u>**გამოვლენილი შეუსაბამობების საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა:**</u>

სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერების რაოდენობა არ შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ." გეგმის თანახმად, სასწავლო პროცესისთვის საჭირო კომპიუტერების შესყიდვას 2026 წლის ივნისიდან 2026 წლის 31 იანვრამდე პერიოდში. თარიღი განსაზღვრულია შეცდომით. გეგმაში წარმოდგენილი შესაბამისობის ტიპი არის **მეტწილი,** ამიტომ განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.6.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი საჭიროებს ახალი ტექნიკით შევსებას და გამართვას. არსებული ტექნიკა განიკარგება შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, რომლებიც სხვადასხვა სახით არის ინტეგრირებული ინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლის არსებული კომპიუტერული მოწყობილობები უნდა იყოს დაცული საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით, რომლის განახლებაც უნდა ხდებოდეს განსაზღვრული პერიოდულობით.

ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენების საკითხები განსაზღვრულია შინაგანაწესში, რომლის მიხედვით სკოლის ტექნიკით სარგებლობა უნდა იყოს მიზნობრივი, მონაცემთა დამუშავება უნდა ხდებოდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას არ აქვს დამოუკიდებელი სახით კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი ან მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (სადაც აღნიშნული საკითხი იქნება ინტეგრირებული).

ინდიკატორი 3.6.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი კომპიუტერების და პრინტერების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის საკითხზე. (MES 4 26 0000148206; 11/02/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 07.02.2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის არაფინანსური ფინანსური აქტივების , მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზნით შექმნილი საინვენტარო კომისიის სხდომის ოქმი N 1 (15.12.2025 ; ინვენტარიზაციის აქტი (27.12.2025)*
- *ციფრული განვითარების გეგმა*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებული არის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტის მიზანია მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა; დოკუმენტაციის ბრუნვა მოიცავს დოკუმენტების მოძრაობის ერთიან ციკლს, მისი შექმნის ან შემოსვლის (მიღების) მომენტიდან შესრულება-გაგზავნამდე; აღნიშული წესი

განმარტავს შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაციის რაობას. სკოლა დოკუმენტაციას აწარმოებს მატერიალური და ელექტრონული სახით.

სკოლაში მატერიალური სახით ინახება შემდეგი აღრიცხვის ჟურნალები; საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მასწავლებლებისა და თანამშრომლებისთვის, შემოსული დოკუმენტაციის და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები.

სკოლაში საშტატო განრიგით განსაზღვრული არის საქმისმწარმოებლის შტატი და დასაქმებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი. მას ევალება სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვა, შემოსული კორესპონდენციის დამუშავება და რეგისტრაცია, ადრესატისთვის წარდგენა; მოსწავლეთა მოძრაობის გაკონტროლება და ა.შ.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ საქმისწარმოების წესში შეიტანოს მითითება, რომ კოლეგიური ორგანოების ოქმები ინომრება კალენდარული წლის ფარგლებში.

ინდიკატორი 3.6.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლა ელექტრონული სააქმისწარმოების პროცესში იყენებს დოკუმენტბრუნვის ელეტრონულ სისიტემას (eFlow).სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა შესახებ შესაბამისი წესით ინფორმაციის ასახვა ხდება სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნული სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის, ჩარიცხვა - ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახავა. გარდა ამისა დაწესებულება ინფომაციის მიღება - გავრცელების და სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით იყენებს გვერდს სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge), სოციალურ ქსელში არსებულ სკოლის გვერდს (Facebook) და ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორი 3.6.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლა წარმდგენილია სრულყოფილი პროფილით ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ასახულია სკოლაში დასაქმებული ყველა პირის და მოსწავლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც განახლებადია. სისტემში ასახულია სკოლის მონაცემები, საშტატო განრიგი, კლასების შესახებ ინფორმაცია, საგაკვეთილო განრიგი და სხვა. კანონმდელობით გათვალსწინებული ვადების შესაბამისად აისახება პირველკლასელთა ლიმიტი და ა.შ.

ინდიკატორი 3.6.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა უზრუნველყოფს საქმიიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას და თანამშრომლობს მათთან. ყოველი კალენდრული წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს. სკოლა თანმშრომლობს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, აწვდის საჭირო ინფორმაციას, უკუკავშირს, უფლებამოსილების ფარგლებში მიმართვას შუამდგომლობის თხოვნით და ა.შ. თანამშრომლობის / კომუნიკაციის პროცესში ჩართული არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 3.6.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი (დამტკიცებული დორექტორის ბრძანებით MES 1 26 0000299486; 12/01/2026)*
- *დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები*
- *კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები , 2025-2026 სასწ. წ.*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი კომპიუტერების და პრინტერების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის საკითხზე. (MES 4 26 0000148206; 11/02/2026)*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 2 (2025 წ.)*
- *სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის საკითხზე (MES 9 26 0000255923; 04/03/2026).*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ წარმოდგენილი არის სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისთვის გამოყენებული საკომუნიკაციო არხები; კერძოდ ეს არის: სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, ბეჭდვითი მასალები - ე.წ. „ხილვადი მასალა“; აქვე არის აღწერილი მიზნობრივი ჯგუფები და მათთვის რეკომენდებული მექანიზმები. სკოლამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის გაზირება ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების პროექტების, მონიტორინგისა და შეფასების შესახებ, ასევე სასკოლო საზოგადოებას მიაწოდოს აღნიშნული გეგმების შესრულების ანგარიშები. დასაქმებულ პერსონალთან კომუნიკაციის და მათი ინფორმირების მიზნით სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას (eFlow).
წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლის დირექტორის ბრძანებების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი.
სკოლას აქვს გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge), რომელზე ინფორმაციის შეტანას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. გარდა ამისა სკოლას სოციალურ ქსელში აქვს გვერდი (Facebook), სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.
ინდიკატორი 3.6.3.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავცელებას. ინფორმაცის გავრცელების მიზნით სკოლა იყენებს ინტერნეტ გვერდს სკოლების პორტალზე და სოციალურ

ქსელში, ელექტრონულ ფოსტას, სკოლის საინფორმაციო სივრცეში აქვეყნებს მატერიალური სახით, მიმართავს უშუალო კომუნიკაციას და ა.შ. დირექცია ეყრდნობა დამადასტურებელ მასალას, პასუხისმგებლობას იღებს გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე
ინდიკატორი 3.6.3.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ, ახდენს მათთვის შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებას და განსაზღვრული პერიოდულობით აბარებს ანგარიშს გეგმების შესრულების შესახებ. სკოლას განსაზღვრული აქვს საკომუნიკაციო არხები, ინფორმაციის გაზიარების სქემა და სამიზნე ჯგუფები. ამავე დოკუმენტის მიხედვით გათვალისწინებული არის სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანას, ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დოკუმენტი ეყრდნობა თანამონაწილეობის და გამჭვირვალეობის პრონციპებს.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია სკოლა ავალდებულებს კურიკულუმის შესახებ მშობელთა ინფორმირებას და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას, მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მშობლებთანაც, რაც აჩენს სივრცეს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის.
სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულებაში განსაზღვრული არის მექანიზმები, რომლითაც ორმხრივი კომუნიკაცია შეიძლება იქნას უზრუნველყოფილი.
ინდიკატორი 3.6.3.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი გვერდი სკოლების პორტალზე, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, (skolebi.emis.ge.) სკოლა საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე; შესაბამისად სკოლის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.
ინდიკატორი 3.6.3.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს გვერდი განათლების მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლების პორტალზე, სადაც განთავსებული არს სკოლის ფილოსოფია, სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სკოლს მიერ განხორცილებული პროგრამების და მხარდამჭერი სერვისების ამსახველი დოკუმენტები, ქცევის წესების მარეგულირებელი დოკუმენტები, სკოლის ბიუჯეტი. ჯერჯერობით არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორი 3.6.3.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ (03/09/2025, MES 0 25 0001866421)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (08.09.2025)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით MES 2 26 0000294941; 16/01/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ 02.09.2025)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება, სამინისტროს მხრიდან განხორციელებული პროგრამული დაფინანსება და სხვა). სკოლის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, გარდა ამისა გათვალისწინებული არის სახსრები საქონლისა და მომსახურებისთვის, საოფისე ხარჯებისთვის, გათბობისთვის (სეზონურად) და სხვა. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ, დირექტორის წარდგინებით. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებელი პირები / სტრუქტურული ერთეულები ითვალისწინებენ სკოლის საჭიროებებს, პროგნოზებს, გასული წლების გამოცდილებას. სკოლა ზრუნავს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს მიმდინარე საჭიროებები. სამოქმედო გეგმის აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მოითხოვს ფართო ფინანსურ ხარჯს და საჭიროებს შესაბამის ადამიანურ რესურს; ხარჯების ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით, რომელსაც სკოლა საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებით ვერ გაუმკლავდება, მიმართავს ზემდგომ სტრუქტურას. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში, სკოლის დირექტრის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი 3.7.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ეყრდნობა რეალურ გათვლებს და გაანგარიშებებს, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სკოლის ბიუჯეტის კორექტირება, რაც გულისხმობს მოქნილ დაგეგმვას, რომელიც პრაქტიკულ რეალურ საჭიროებებზე არის დაფუძნებული. ყოველი წლის ნოემბერში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში სკოლა ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. დაწესებულება აწარმოოს ფინანსურ ანგარიშგებებს, რაც საშულებას იძლევა, რომ მოხდეს დაგეგმილი და განხორციელებული მონაცემების შედარება. კალენდარული წლის ბოლოს, სამეურვეო საბჭოსთვის ხდება ფინანსური ანგარიშის წარდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს ფინანსების ხარჯვის, განკარგვის, მონიტორინგის რელევანტური სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის 2026 წლის კორექტირებული ბიუჯეტი*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N 4 (10.12.2025).*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N 7 (30.04.2026).*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ (N 2/32; 18/11/2022)*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო*
- *სკოლის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ (MES 3 25 0001641027; 19/11/2025)*
- *სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი კომპიუტერების და პრინტერების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის საკითხზე (MES 4 26 0000148206; 11/02/2026)*
- *სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის საკითხზე. (MES 9 26 0000255923; 04/03/2026)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას უზრუნველყოფს შიდა მარეგულირებელი აქტები, მოქმედი კანონმდებლობა, პასუხისმგებელი პირების და სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერი პირისთვის და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი არეგულირებს განცხადების/საჩივრის განხილვის წესს. განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმებს და სხვა. სკოლის შინაგანაწესი მკაცრად განსაზღვრავს, რომ სასკოლო დისციპლინა უნდა ემყარებოდეს თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას, ხოლო ნებისმიერი დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული, პროპორციული და განხორციელდეს მხოლოდ სამართლიანი პროცედურით. დოკუმენტი კრძალავს მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობას, დისკრიმინაციას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ფიზიკურ დასჯას და იცავს მის პერსონალურ მონაცემებს, მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინური საკითხის განხილვისას წარდგეს მშობელთან ერთად, სახდელის დადებამდე წარადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება და დაცულია იმისგან, რომ სახდელმა არ გამოიწვიოს მისი არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან.
სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს "ადამინებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი", რომლის მიზნებს წარმოდგენს ბავშვთა უფლებების დაცვა, ბავშვთა ინტერესების გათვალისწინება, ფიზიკურად ფსიქოლოგიურად და

ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. დოკუმენტში აღწერილის სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამინების და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში და ა.შ. სკოლაში ასევე მოქმედებს „განცხადებებისა და საჩივრის“ განხილვის წესი, რომელიც არეგულირებს განცხადებისა და საჩივრის განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ხაზს უსვამს სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა და მოსწავლეზე ორინტირებული სასწავლო გარემოს არსებობის აუცილებლობას.

სკოლაში მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს; აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, როლის ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებას და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. თვითმმართველობას ჰყავს თავისი წარმომადგენლები სამურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში.

ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირების და რეფერირების პროცედურების განხორციელების მიზნით სკოლას დამტკიცებული აქვს „ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“

ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლა უზრუნვველყოფს სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეობას და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობას. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას და სავალდებულოა შესასრულებლად; როგორც დასაქმებული პირი, ისე მშობელი ადასტურებს მისი გაცნობის ფაქტს. ამასთან, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი პირადად გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს, ხოლო ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს 14 კალენდარული დღის ვადაში. სკოლის შინაგანაწესი, „განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი“ ასახული არის სკოლების პროტალზე არსებულ სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge), სადაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის და ყველ დაინტერესებული პირისთვის. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებულია სკოლის მიერ საგანმანათლებლო - საინფორმაციო კამპანიის წარმოება უსაფრთხოების საკითხებზე.

ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მომზადებულია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისშესაბამისად, მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი. მშობელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 07.02.2026)*
- *სკოლასა და მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ (ბრძანება 2-168; 15/12/2017)*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით MES 4 26 0000286159; 16/01/2026)*
- *მშობელთა კრების ოქმი 19.09.2025*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დამტკიცებული დირექტორის მ/შ ბრძანებით, MES 7 25 0001866545, 15/12/2025)*
- *კოლეგიური ორგანოების სხდომების ოქმები 2025-2026 სასწ.წ.*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმებით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. გარდა ამისა პროცედურების სამართლებრივ საფუძვლად გამოყენებულია: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ეროვნული სასწავლო გეგმა“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N40/ნ ბრძანება) და სხვა.
სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესები და პროცედურების“ დოკუმენტი. აღნიშნული წესი არეგულირებს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს. მოსწავლის მიერ კლასისა და საფეხურის დაძლევის საკითხი ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულება პრაქტიკაში ასრულებს კანონმდებლობით და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა ხდება მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად ხდება მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა, დაცულია პროცედურები და ვადები. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ აღნიშნული პროცესი კანონის შესაბამისად წარიმართება, კონკრეტულად სკოლის დირექტორის ბრძანებები მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის და გადაყვანის, მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერების საკითხებზე და ა.შ.
ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების, პირობების, პროგრამებისა და შიდა პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. სკოლის დირექტორის ბრძანებებში განსაზღვრული არის პირი, რომელსაც ევალება დოკუმენტის დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა. დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში და კურიკულუმებში განსაზღვრული არის სკოლის მიერ შეთავაზებულ მომსახურების სახეები, სწავლების ორგანიზების ფორმები, სწავლისა და მხარდაჭერის სისტემები და სხვა. სკოლა პროგრამების, სერვისების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სკოლის ოფოციალურ გვერდს (skolebi.emis.ge), ასევე აქვს გვერდს სოციალურ ქსელში (Facebook), მატერიალური სახით ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება სკოლის საინფორმაციო კუთხეში. დაწესებულებას არ აქვს ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია პროგრამების, სერვისებისა და აქტივობების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე; სკოლა ზრუნავს ინფორმაციის განახლებაზე. როგორც აღნიშნული იყო, დაწესებულება საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს ინტერნეტში არსებულ გვერდს (skolebi.emis.ge), საინფორმაციო კუთხეს, მართავს საინფორმაციო შეხვედრებს (მაგალითად დამრიგებლების ჩართულობით). დაწესებულება ავრცელებს ობიექტურ ინფორმაციას დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების, პროგრამების შeსახებ. სკოლასა და მშობელს / კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული არის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მშობლის ინფორმირების ვალდებულებას. დაწესებულება ზრუნავს, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების პროცესში ჰქონდეს სამართლიანი მიდგომა, გავრცელებული ინფორმაცია არ იყოს დისკრიმინაციული ხასიათის.

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესები და პროცედურები*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N-37 (23/06/2025), პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N-24 (23/06/2025), დაწყებითი საფეხურის კლასის დაძლევისა და მომდევნო კლასში გადაყვანის შესახებ.*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N68 (01/11/2024), სკოლის მე-12 კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2 (17/01/2025), მობილობის საფუძველზე მოსწავლის სიიდან ამორიცხვის შესახებ.*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N15 (15/04/2024), მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების შესახებ.*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია „ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები“, რომელიც განსაზღვრავს ახლად ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციის საკითხებს. წესის მიხედვით, სკოლა ეხმარება მოსწავლეს, რომ შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; ახალი მოსწავლის ადაპტაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის დამრიგებლის როლი, სწორედ დამრიგებელი აცნობს კლასს ახალ მოსწავლეს, აძლევს მას საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას, სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლის გაცნობისა და დაახლოებისთვის. გარდა ამისა , წესის მიხედვით დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა მარეგულირებლ აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ კონკრეტული სახით აღწეროს პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციის წესი.

ინდიკატორი 4.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ სკოლაში არსებული წესის შესაბამისად განახორციელოს მოსწავლეთა ადაპტაციას. ადაპტაციის პროცესს აწესრიგებს სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული შესაბამისი წესი და სკოლის სხვა შიდა მარეგულირებელი მექანიზმები; სკოლას აქვს, ასევე, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ძალადობის, ბულინგისა სხვადახვა ფორმის პრევენციასა და მასზე რეაგირებას, რაც თითოეული ბავშვის სოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კლასის დამრიგებლები აქტიური კომუნიკაციის გზით მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, რაც ხელს უწყობს სასკოლო

გარემოში მათ ჩართულობას, სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც სწავლების პირველივე ეტაპზევე ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე სასწავლო გარემოს მორგებას.

ინდიკატორი 4.2.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწეებულებას აქვს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომლის მთავარი მიზანი არის სწავლა სწავლების ხარისხის მართვა. განმავითარებელი შეფასება აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს და ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის ხოლო განმსაზღვრელი შეფასება კი (დანერგილია V კლასის II სემეტრიდან) ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. მოსწავლე ვადებული მიიღოს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მინიმალური შეფასება კლასის და საფეხურის დასაძლევად. საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში სკოლა ქმნის რემედიაციის პროგრამას თითოეული მოსწავლისათვის. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს გონივრული ვადა რემედიაციის პროგრამის დაძლევისთვის. რემედიაციის პროგრამა უნდა შეიქმნას კონკრეტული მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

სკოლას დამტკიცებული აქვს რემედიაციის პროგრამის დებულება. აღნიშნულ დოკუმენტის მიხედვით, რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ინტერვენციები; პროგრამაში მონაწილეობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთათვისაც სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად საკმარისი არ არის; მასში აღწერილია მოსწავლეთა იდენტიფიცრების, სამუშაო ფორმატის შემუშავების, სარემედიაციო სივრიცის მოწყობის და სხვა საკითხები.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სპეციალური რეგულაცია, რომელიც არეგულირებს სსსმ პირთთვის საგანამნათლებლო სერვისების მიწოდების და მხარდაჭერის საკითხებს.

ინდიკატორი 4.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლაში არსებობს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლისთვის საჭირო ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, კანონმდებლობით გათვალიწინებული უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის კლასიდან კლასში გადაყვანის, საფეხური დაძლევის ბრძანებები გამოიცემა კანონით დადგენილ ვადებში და შესაბამისი პროცედურების დაცვით. სკოლას აქვს შიდა მარეგულიებელი დოკუმენტი „მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესები და პროცედურების“ დებულება.

სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელი ვალდებულია შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

სასკოლო საწავლო გეგმით განსაზღვრული არის გამოცდების ტიპები: საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნატის გამოცდა, სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა; სკოლას, საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფს აღნიშნული გამოცდების ჩატარებას,

სკოლას აქვს „განცხადებისა და საჩივრივის მიღების წესი“, წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით /საჩივრით. აღნიშნული წესი უზრუნველყოფს განცხადების / საჩივრის შეტანის პროცესისთვის ორგანიზებული სახის მიცემას. სკოლა ქმნის გარემოს, სადაც ადმინისტრაციული მხარდაჭერის რეალიზება ხდება გონივრულ ვადაში.

ინდიკატორი 4.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, სკოლა დამატებითი / არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას შემდეგი კონკრეტული ამოცანებით და აქტივობებით უზრუნველყოფს: მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების წახალისებას და მისი აქტიურობის ზრდას, კლუბებისა და წრეების ფუნქციონირების გამრავალფეროვნება, დამატებითი არაფორმალური აქტივობების დაგეგმა, როგორიც არის გასვლითი გაკვეთილები და მიზნობრივი ექსკურსიები, მოსწავლეთა წახალისება ოლიმპიადებში, პროექტებში ჩართვის მიზნით.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ერთერთ მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის ორგანიზება, მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. თვითმმართველობა მოსწავლეთა ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს.

სკოლაში ჩამოყალიბებული არის „ეკო კლუბი“, წარმოდგენილი დებულების მიხედვით, აღნიშნული კლუბის მიზნია არის ბუნებისა და გარემოს დაცვის შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება, ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი ქცევის ჩამოყალიბება და სკოლის ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება. კლუბის ამოცანებია: განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, სკოლის ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებაზე ზრუნვა, ეკო-დღეების, აქციებისა და კონკურსების ორგანიზება, თანამშრომლობა სხვა ეკოკლუბებთან, გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან და სხვა. წარმოდგენილი დებულება არეგულირებს კლუბის მართვის, გაწევრიანების. საქმიანობის მხარდაჭერის საკითხებს.

სკოლაში დასაქმებული პედაგოგების მიერ ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები: მაგალითად საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ დაგეგმა პროექტი „კიბერბულინგი, გამოწვევა და მისი თავიდან აცილება“, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საბაზო საფეხურების მოსწავლეები. აღნიშნული პროექტის მიზანს წარმოადგენდა: ცნობიერების ამაღლება სასკოლო საზოგადოებაში, ბავშვებში და მშობლებში. რათა მეტი სიფრთხილით მოეკიდნონ აღნიშნულ საკითხს და აირიდონ თავიდან მოსალოდნელი საფრთხეები, გამოუმუშავდეთ საფრთხეების იდენტიფიცირებისა და პრევენციის გზების მოძიების უნარ-ჩვევები. კათედრამ პროექტის განხორცილებსი მიზნით დაგეგმა მრავალფეროვანი აქტივობები: შეხვედრების მოწყობა ექსპერტებთან მშობლების ჩართულობით, ფილმების ჩვენაბა და დისკუსიები, როლური თამაშები, ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრების მოწყობა სასკოლო საზოგადოების და თემის წარმომადგენლებთან. ბუკლეტები/ პოსტერები.ს მომზადება და სხვა. ინგლისური ენაში, საბაზო საფეხურზე დაიგეგმა პროექტი First Aid”, რომლის მიზნები იყო, მოსწავლეებმა მიიღონ ძირითადი ცოდნა პირველადი დახმარების შესახებ, განუვითარდეთ სწრაფი და სწორი რეაგირების უნარები საგანგებო სიტუაციაში და სხვა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმულია არაფორმალური განათლების მნიშვნელობა ხაზგასმულია რომ ხელს უწყობს მოსწავლეს წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში, ასევე ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი, სისტემური აზროვნების განვითარებას. აქვე არის წლის განმავლობაში დაგეგმილი სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ჩამონათვალი (2025 -2025 სასწ. წ.) აღსანიშნავია, რომ სკოლა გაფორმებული აქვს მემორანდუმები ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის, სოფელ პატარა ჯიხაიშის და ახაშენის სკოლებთან, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების პროცესში.

სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების მხარდაჭერას სკოლის შესაძლებლობებისა და არსებული საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.2.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მოსწავლეების/ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე განახორციელოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომლის მიხედვით დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის შიდა მექანიზმებს გამოყენება, სკოლის მიერ შემოთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისთვის, ასევა მათი მუდმივი განვითარებისთვის. დოკუმენტის მიხედვით: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; პროცესების /კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; შემოწმების განხორციელება; დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. მოსწავლის სერვისები განხორცილება აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია, როგორც ერთერთი დამხმარე პროცესი, შესაბამისად აღნიშნული პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს და შეფასებას.

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით საკოლო კურიკულუმის განვითარება უნდა ხდებოდეს მოსწავლის მშობლის, მასწავლებლის დირექციის თანამშრომლობის ფორმატში. სკოლა ვალდებულია განახორციელოს დოკუმენტის შეფასება და უზრუნველყოს მისი გაუმჯობესება წინა წლის ანალიზის შედეგების საფუძველზე. რაც შესაბამისად გულისხმობს მოსწავლეთა საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვთ, სკოლა ვალდებულია განახორციელოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება, რაც გულისხმობს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას და შეგროვილი მონაცემების გაანალიზებას. შედგების კი გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, რაკი სტრატეგიულ დაგეგმვას კავშირი აქვს სკოლაში მიმდინარე ყველა ძირითად და დამხმარე პროცესთან. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება აღნიშნული პროცესებიდან ინფორმაციის მიღებით. ასევე, სტრატეგიული მიზნები და მისი განხორციელების შედეგები მიემართება აღნიშნული პროცესების გაუმჯობესება-განვითარებას.

ინდიკატორი 4.2.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის ბრძანება სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში რემედიაციის პროგრამის განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ (MES 7 25 0000250765; 01/09/2025)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის რემედიაციის დებულება*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება სიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ (MES 7 25 0001866545; 15/12/2025)*
- *სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სადამრიგებლო პროგრამა*
- *პროექტის გეგმა - „კიბერბულინგი, გამოწვევა და მისი თავიდან აცილება“*
- *პროექტი ინგლისურ ენაში First Aid”*
- *ეკო კლუბის დებულება - ზოგადი დებულება*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025 2026 სასსწ .წ.*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლისმისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება (დამტკიცებული სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით MES 5 26 0000282136, 15/01/2026)*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლასთან და ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჯიხაიშის საჯარო სკოლასთან 08.01.2025*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლასთან 24.12.2024*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული არის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ძირითადი პრინციპები (საბაზო და საშუალო საფეხურზე): მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში, მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ, მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.
სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და კოლეჯთან მოსწავლეებს საშულება აქვთ გაეცნონ როგორც საუნივერსიტეტო და პროფესიული კოლეჯების პროგრამებს. უნივერსიტეტებთან და კოლეჯებთან თანამშრომლობის ზოგადი ასპექტები მოიცავს: მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით, მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო/პროფესიული კოლეჯის პროგრამების გაცნობას, ღია კარის დღეების ორგანიზებას, ერთობლივი შემეცნებითი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.
სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც ერთ-ერთ მიზნად ისახავს მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციას და მათი პროფესიულ ორიენტაციის ხელშეწყობას.
2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ჩამონათვალში სკოლას დაგეგმილი აქვს გასვლითი ექსკურსიების ორგანიზება სხვადასხვა საწარმოებში, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით
სკოლის მიმდინარე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, მოსწავლეთა მხარდამჭერ ღონისძიებებში გათვალისწინებული არის კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა.
პროფესიული ორიენტაციის თავლსაზრით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების პროცესში ჩართული არიან კლასის დამრიგებლები. საგაკვეთილო საათის ფარგლებში გათვალისწინებული არის თემები: „პოპულარული და დეფიციტური პროფესიები“, „ჩემი არჩევანი, ჩემი მომავალი პროფესია“, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს გაცნობიერებული პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.
ინდიკატორი 4.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალი ზრუნავენ უფროსკლასელებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებულობაზე. სკოლა სტაბილურად აწვდის მათ სანდო და განახლებულ ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, მათ შორის: ღია კარის დღეების, საგამოცდო ფორმატში შესული ცვლილებების, ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიულ სასწავლებლებში არსებული შესაძლებლობების შესახებ. მშობლების ინფორმირების ვალდებულების საკითხი და კომუნიკაციის არხები განსაზღვრულია მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით და „მშობელთან ურთიერთობის დებულებით“

ინდიკატორი 4.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ ითვალისწინებს სკოლაში განხორციელებული პროცესების, მასზე რეაგირების გზებისა და საშუალებების, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასებას, ხოლო შეფასების შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელებას. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ დაწესებულება ინტერესდება პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის პროცესში მის მიერ გაწეული მომსახურების შედეგებით. სკოლას აქვს მზაობა, რომ სამომავლოდ აღნიშნულ პროცესს ორგანიზებული სახე მისცეს.

ინდიკატორი 4.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლასა და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ 25.03.2021*

- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი (საგაზო და საშუალო საფეხური პროგრამა)*
- *სადამრიგებლო პროგრამა -საშუალო საფეხური*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკიცებული დირექტორის მ/შ ბრძანებით MES 2 26 0000294941; 16/01/2026)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (05/01/2026 , MES5260000282136)*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. სკოლას ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა სამი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და დასაქმებული არის ერთი სპეციალური მასწავლებელი. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია დაგეგმილი აქტივბები, მასზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. სკოალში, წინასწარგანსაზღვრულ ვადებში ხდება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება.
სკოლა საგანმანთლებლო პროცესის დაგეგემვის დროს ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, რომლებიც ასახული არის სასკოლო სასწავლო გეგმაში; კერძოდ, რესურსების თანაბრად განაწილების პოლიტიკას, ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას და სხვა.
სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დებულება“, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სკოლის მერ სსსსმ მოსწავლის გამოვლენა, მოსწვლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირევლადი მართვა, ინდივიდალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ისგ ჯგუფის ჩამოყალიბების საკითხი, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის შეფასება, დასწრება, გაცდენები და სხვა.

სკოლას აქვს „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, აღნიშნული დოკუმენტი განიხილავს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებასა და სსსმ სტატუსის მოპოვების წესს, სსსმ მსტატუსის მოხსნის წესსს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია / მონიტორონგს, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაციას და სხვა.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორონგის განხორცილების წესი, რომლის მიზანია სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა. წესიდან გამომდინარე კი უზრუნველყოფილი უნდა იქნას, ისგ ჯგუფის ეფექტინობის შეფასება, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავების და განხორციელების შეფასება და სხვა. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი უნდა ჩამოყალიბდეს წინასწარ დადგენილი წესით.

სკოლის ინფრასტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ არის ადაპტირებული ინკლუზიური განათლების საჭიროების შესაბამისად.

ინდიკატორი 4.2.3.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის პროცესი ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის მჭიდრო და კოორდინირებულ თანამშრომლობას. ისგ ჯგუფი ჩამოყალიბებული არის კანონმდებლობის შესაბამისად და მის შემადგენლობაში შედიან ისგ ჯგუფის კოორდინატორი (დამრიგებელი), მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი), საგნის მასწავლებლები (რომლებიც უშუალოდ ასწავლიან აღნიშნულ მოსწავლეს), სპეციალური მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაციის წევრი. გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივი, კოლეგიური კენჭისყრის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში,

ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაში გათვალიწინებულია შემდეგი აქტივობები: მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა; საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, გასაუბრება მასწავლებელთან, კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა სოციალური კულტურის ასამაღლებლად; მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით და სხვა. საიდანაც თვალსაჩინოა, რომ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრი თანამშრომლობს ინკლუზიური განათლების დაგეგმვის პროცესში.

სკოლის შიდა მონიტორინგის განხორცილების მექანიზმი აფასებს პროცესში ადმონისტრაცის ჩართულობას, მასწავლებლის საქმიანობას სსსმ მოსწავლეთა სწავლა სწავლების პროცესში, სსსმ მოსწავლეების მშობლებთან თანამშრომლობის ხარისხის და ა.შ. რაც ნიშნავს იმას რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვა სასკოლო საზოგადოების თანამშრომლებით და ფართო ჩართულობით ხორციელდება.

ინდიკატორი 4.2.3.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტორის ბრძანება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) სამუშაო ჯგუფის განსაზღვრის შესახებ (ბრძანება № MES 8 25 0000294588, 12/09/2025);*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება № MES 1 25 0001866602, 02/12/2025);*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №1; №2; №3;*
- *რესურს ოთახში მეცადინეობის ინდივიდუალური განრიგი (V, VI, VII კლასები);*
- *სპეციალური მასწავლებლის საათობრივი ბადე / ცხრილი;*
- *ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შედგენილი მონიტორინგის აქტი.*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების დებულება (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (08/09/2025, MES 7 25 0001867788)*
- *ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შედგენილი მონიტორინგის აქტი.*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლის რეგულაციები (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით 02.09/2025 , MES 5 25 00005434610)*
- *სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით 22.09/2025 , MES 8 25 0001867743)*
-

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში.
ინდიკატორი 4.2.4.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
ინდიკატორი 4.2.4.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
ინდიკატორი 4.2.4.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ნამდვილად იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების სრულ შესაძლებლობას. დოკუმენტის თანახმად, სასწავლო პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც პირდაპირ აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი შეხედულებების ასახვისთვის. გარდა ამისა, მეთოდოლოგია სკოლას აძლევს ავტონომიას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში თავად შეარჩიოს კონკრეტული საგნობრივი საკითხები, საშუალო საფეხურზე შესთავაზოს საგანთა განსხვავებული განაწილება და დანერგოს დამატებითი სააღმზრდელო-სასწავლო მომსახურება. ეს შესაძლებლობა პრაქტიკაში გამყარებულია იმით, რომ სკოლაში 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. მასში გაერთიანდა ყველა კათედრის, საფეხურისა და სპეციალური მასწავლებელი, რამაც უზრუნველყო სამინისტროს გზამკვლევებზე დაყრდნობით ისეთი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც ზუსტად პასუხობს ადგილობრივი სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ვინაიდან ამ დოკუმენტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია სწორედ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის შეთანხმების უზრუნველყოფა და სკოლის ტრადიციებისა თუ პრიორიტეტების წარმოჩენაა. სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვაზე მიუთითებს ისიც, რომ კურიკულუმის შემუშავება და განვითარება წარმოადგენს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის განვითარებისა და ხარისხის მართვის პროცესის უშუალო გაგრძელებას. კურიკულუმის შინაარსი პირდაპირ ეყრდნობა წინარე გამოცდილების რეფლექსიას — წინა წლის სამოქმედო გეგმის შეფასებას, ხარვეზების გამოსწორებასა და წარმატებული პრაქტიკის შენარჩუნებას. ინტერესებისა და საჭიროებების ასახვა ხდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა უკუკავშირების საფუძველზე, რაც ვლინდება შემოქმედებითი იდეების რეალიზებაში, სადამრიგებლო საათის ფორმატში, ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებში და სკოლაში დამკვიდრებულ მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია/გამოფენის პრაქტიკაში, სადაც ბავშვები თავად ახდენენ საკუთარი სწავლის პროცესის რეფლექსიას.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ვინაიდან სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობის რეჟიმში. დოკუმენტის დაგეგმვის ფაზაში პროცესში ერთვება კათედრის ყველა მასწავლებელი, რომლებიც ერთობლივად თანხმდებიან სასწავლო თემებზე, საკითხებზე, კომპლექსურ დავალებებზე, რესურსებსა და შეფასების ინსტრუმენტებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე ცალკეული პირი. ეს კოლექტიური შემოქმედებითი პროცესი რეალურ ცხოვრებაში გამოიხატება იმით, რომ ჩარჩოების შექმნაში სრულად მონაწილეობდა სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია. ამასთანავე, კურიკულუმის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე და სრულყოფამდე, პროცესში აქტიურად ერთვებიან მშობლები: ყველა კლასის დონეზე მოეწყო სპეციალური შეხვედრები, სადაც პედაგოგებმა მათ გააცნეს დაგეგმილი სიახლეები, მოისმინეს მათი უკუკავშირი და მიღებული აზრი ასახეს დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რადგან მეთოდოლოგია წარმატებული დანერგვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს იმას, რომ მის შინაარსს იზიარებდნენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. პერსონალის დონეზე სრული გაზიარება უკვე მიღწეულია: სკოლის ყველა მასწავლებელი იზიარებს კურიკულუმის შექმნის ზოგად ჩარჩოს, კარგად აქვს გათავისებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მიღწეულია კონკრეტული შეთანხმება შეფასების მოდელთან დაკავშირებით (სკოლის მიერ არჩეულია პირველი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს განმსაზღვრელ შეფასებას საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ

სამუშაოებში). ფართო სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით, მეთოდოლოგია განსაზღვრავს გამჭვირვალე მექანიზმებს, როგორიცაა კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალის გამოყენება და მშობლებისთვის შემეცნებითი ბარათების გაგზავნა. მომდევნო სასწავლო წლიდან, შემუშავებული კურიკულუმები, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, სრულად გასაჯაროვდება სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების საბოლოო ინფორმირებულობასა და ჩართულობას.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის ბრძანება მეთოდოლოგიის შესამუშავებლად ჯგუფის შექმნის შესახებ;*
- *სამუშაო ჯგუფის ოქმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *პედსაბჭოს ოქმი კურიკულუმის შემუშავებაზე;*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო მიდგომები და აქტივობები,(შემოქმედებითი დავალებები,ინტეგრირებული გაკვეთილები,პროექტები) ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას,თანამშრომლობით სწავლასა და პრაქტიკული უნარების ფორმირებას. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან , სამივე საფეხურზე***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას. ძირითადი კონტექსტ-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, ექსკურსიები. საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების არჩევა მოსწავლეთა ინტერსების გათვალისწინებით ხდება. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის საქმიანობა მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფას. კათედრის წევრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის უნარებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. ინგლისური ენისა და რუსული ენის კურიკულუმში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეებით. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. გეგმა ეფუძნება საგნობრივ კომპეტენციებს, საკვანძო უნარების განვითარებას და მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. **სკოლას მიეცა რჩევა,:** გაიწეროს დავალებების დამუშავების ეტაპები. საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი წარმოადგინონ ინტეგრირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოხდეს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების ადაპტირება და შემცირება (ხელოვნება — I, II, III, IV, VIII, IX კლასი; მუსიკა — V, VIII კლასი). კომპლექსური დავალებების პირობების გადამუშავება ისე, რომ სწორად იყოს ფორმულირებული და სრულად შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. პედაგოგებმა გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ რჩევას და მომავალი სასწავლო წლიდან და განახორციელებენ კურიკულუმების შესაბამის რევიზიას.

	ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, სადაც სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე. დოკუმენტები ტექნიკურად კარგად არის გამართული, დაცულია სვეტების ერთგვაროვნება და სტრუქტურული თანმიმდევრობა. დაგეგმარებაში ჩანს მოსწავლის ინტერესებზე მორგებული მიდგომა, რაც დასტურდება შერჩეული შემოქმედებითი დავალებებით. მაგალითად, მე-3 კლასში შეტანილია თავსატეხი „ტანგრამი“, ხოლო მე-4 კლასში - დავალება „ქართველი რობოტი“, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და პრაქტიკული უნარების განვითარებას სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას პედაგოგის ფასილიტაციით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ განვითარების გზას. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*** **რჩევა:** სასურველია სკოლამ შეინარჩუნოს კურიკულუმების არსებული ხარისხი და კიდევ უფრო მეტად გაამრავალფეროვნოს შემოქმედებითი პროდუქტების ნუსხა **საბაზო და საშუალო საფეხურზე.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

ტექნოლოგიები	სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებულია I–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს და ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის თანმიმდევრული და მიზანმიმართული ორგანიზებისთვის. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილ ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. კურიკულუმის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია დავალებების შესრულების პროცესში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები. წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია სასწავლო მიზნებისა და დავალებების სპეციფიკის შესაბამისად და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას აქცენტი კეთდება მოსწავლის აქტიურ მონაწილეობაზე, ცოდნის კონსტრუირებაზე და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმი გამოიყენება როგორც სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა პირველი კლასი – „დავეხმაროთ ფიფქიას“; ქართული მეორე კლასი – წერილის მიწერა პერსონაჟისთვის ; მე და საზოგადოება – მესამე კლასი–ბუკლეტისა და კომიქსის შექმნა; ბუნებისმეტყველება – მეორე კლასი–”გახდი წყლის მცველი”), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. ისინი კურიკულუმს იყენებენ სასწავლო მიზნების

	განსაზღვრის, აქტივობების დაგეგმვისა და სასწავლო შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ეფექტურ განხორციელებას. ***ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე) დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. შემოქმედებითი ტიპის დავალებები, იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებს განუვითარდეთ ფუნქციურ-კომპონენტური უნარები: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა. **რჩევა:**სასურველია ბუნებისმეტყველების(1-6 კლასები) და ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის ქიმიის კურიკულუმში დაზუსტდეს სამიზნე ცნების ქვეცნებები, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი კურიკულუმის ერთეულებს შორის. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის*** **მოთხოვნებთან , სამივე საფეხურზე**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. გრძელვადიანი მიზნების (სამიზნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება შესაბამისი საკითხებით, დამახმარე სასწავლო რესურსებით. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
უცხოური ენები	უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებითა და პრინციპებით. სასწავლო

	პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებას. ამასთანავე, ეროვნული სასწავლო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებაზე, რაც უცხოური ენის სწავლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი მიზნები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს/გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები, სამიზნე ცნებები, საკითხები. წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება და სიღრმისეულად ააზრებინებს მასალას. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
მათემატიკა	კურიკულუმების თემატიკა და ტერმინოლოგია შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, თავად კურიკულუმში ნაკლებად ჩანს მიზნის, აქტივობის და შედეგის შორის კავშირი აქტივობების საბაზო და საშუალო საფეხურზე სიმცირის გამო. მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას პედაგოგებმა კარგად განმარტეს, თუ როგორ უწყობს ხელს დაგეგმილი თემები და საკითხები ეროვნული მიზნების მიღწევას. თავადაც აღნიშნეს, რომ აქტივობების მრავალფეროვნება უფრო მეტად საინტერესოს გახდის სწავლების პროცესს და დაადასტურეს მზადყოფნა ამ კუთხით კურიკულუმების გაუმჯობესებისთვის. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*** **რჩევა**: რეკომენდებულია **საბაზო საშუალოს** საფეხურის კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნაზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნის მიზნებს, შედეგებს და საგნის სამიზნე ცნებებს, ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტში. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის ბოლოს. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში შემუშავებული I–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმ მიზნებისა და სასწავლო შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას. ***ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისთვის არსებული საგანმანათლებლო რესურსები, შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. სასწავლო რესურსები მოიცავს: გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე ლიტერატურას, ვიზუალურ მასალას (პოსტერი, სქემა, მოდელი, მულაჟი) ციფრულ რესურსებსა და სიმულაციებს. იმის გათვალისწინებით რომ სკოლას არ აქვს შესაბამისი სასკოლო ლაბორატორია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, რომელიც ეფუძნება კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას, უზრუნველყოფილია შესაბამისი ალტერნატიული საშუალებებით, როგორიცაა: ვირტუალური ლაბორატორიები, სიმულაციები და მარტივი უსაფრთხო ექსპერიმენტები. **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს ბიოლოგიის (საბაზო,საშუალო საფეხური) კურიკულუმების ელექტრონული რესურსები და მოხდეს ხარვეზის მქონე ჰიპერლინკების ჩასწორება. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სამივე საფეხურზე***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამატებითი რესურსები, შემეცნებითი ვიდეორესურსები, ფოტო მასალა, თემატური რუკები. სხვადასხვა ვებ-გვერდები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი, რაც შესაბამისად უზრუნველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი, ხელს უწყობს შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის კათედრა იყენებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსს, მათ შორის ვიზუალურსა და ციფრულს, დამატებითი რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები.

	რჩევა: სასურველია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს რესურსების ავთენტურობა და აქცენტი გაკეთდეს უფრო თანამდროვე და განახლებულ დამხმარე რესურსებზე. ენა მუდმივად ვითარდება და ცვლილებებს განიცდის, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესიც ამ ცვლილებებს თანხვედრაში მიჰყვებოდეს. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელოვნების საგნობრივი სწავლებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები – სახელმძღვანელოები, ვიზუალური მასალები, ციფრული პლატფორმები და დამხმარე მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **სკოლას მიეცა რჩევა:** მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი აუდიო და ვიდეო რესურსები და მოხდეს ასახვა კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. საგნობრივ კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული/შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
მათემატიკა	ქუტირის საჯარო სკოლაში მათემატიკის სწავლებისას ძირითად რესურსად გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. კურიკულუმებში ასახულია ციფრული და დამხმარე რესურსების (GeoGebra, Desmos, ხანის აკადემია) გამოყენების ხედვა, თუმცა მათი მითითება ხშირად ზოგად ხასიათს ატარებს. ექსპერტის მიერ დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მე-6 კლასის კურიკულუმში მითითებული წილადების სიმულაციების ბმულები არ ფუნქციონირებს (არ იხსნება), ხოლო მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში რესურსების ჩამონათვალი (მაგ. ხანის აკადემია) შაბლონურია და არ ახლავს კონკრეტული საკითხების შესაბამისი ბმულები. მატერიალური თვალსაზრისით, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და წვდომა ინტერნეტთან, თუმცა გამოწვევას წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკის ხშირი გამოყენება საგაკვეთილო პროცესი, რათა უფრო საინტერესო გახდეს მასალა მოსწავლეებისთვის. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

	რჩევა: სასურველია სკოლამ **სამივე საფეხურზე** კურიკულუმებში რესურსების მითითება გახადოს უფრო სპეციფიკური და თემატური; კონკრეტული პლატფორმების დასახელებასთან ერთად მიეთითოს შესაბამისი URL მისამართები ან ვიდეო-გაკვეთილების სათაურები, რაც დაეხმარება პედაგოგებს მათ ეფექტურ გამოყენებაში. აუცილებელია მე-6 კლასის კურიკულუმში არსებული ტექნიკური ხარვეზის (გაუმართავი ბმულების) აღმოფხვრა. ასევე, სასურველია სკოლის სასწავლო გეგმაში აღიწეროს დამხმარე რესურსების შერჩევის/ვალიდაციის მექანიზმი (მაგ. კათედრაზე გუნდური განხილვის გზით)
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ: • ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, სმარტფონი, პროექტორი, სახატავი საშუალებები, ვიზუალური მასალა; • კომპიუტერული პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint, Publisher), Paint/Paint 3D, WordPad, Microsoft Office 365 (OneDrive), scratch.mit.edu, Canva; • ელექტრონული სასწავლო რესურსები: school.emis.ge, youtube.com, ასევე მასწავლებლის მიერ შექმნილი ციფრული სასწავლო რესურსები. კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამატებით რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. ***ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*** ***რჩევა:*** *სასურველია, კათედრამ ყველა საგნის კურიკულუმისთვის ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი .*

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრაზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და განხორციელების გზით. აღნიშნული გეგმები ეფუძნება მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და განსაზღვრავს შესაბამის მიზნებს. სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით კლუბები,რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენას. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სამივე საფეხურზე***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების საშუალებას; მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები იძლევა დიფერენცირების საშუალებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კათედრა სასწავლო პროცესში იყენებს მოსწავლეებისადმი დიფერენცირებულ მიდგომებს და არჩევს მათთვის ადაპტირებულ აქტივობებს.

	ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მასწავლებლები ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება გამოხატონ საკუთარი ცოდნა მათთვის მისაღები ფორმით. *ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
ესთეტიკური აღზრდა	კათედრას მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება რომ კათედრა სასწავლო პროცესს სწავლების სამივე საფეხურზე უდგება ინკლუზიურად და იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გასაუბრებისას აღწერეს ის მიდგომები რასაც იყენებენ, გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს და ინტერესებს. ინკლუზიური მიდგომა და დიფერენცირება ჩანს შემოქმედებითის დავალებების შესრულებისას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათთვის ეფექტური გზებით ცოდნის დაუფლებას. *ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლის საჭიროებების, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართვის მიზნით მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. *ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
მათემატიკა	ქუტირის საჯარო სკოლაში მათემატიკის სწავლების პროცესი ორიენტირებულია ინკლუზიურობაზე. **წარმოდგენილი დოკუმენტაცია ტექნიკურად გამართულია**, რაც ადასტურებს, რომ კურიკულუმებში ჩაშენებულია დიფერენცირებული სწავლების ხედვა. პედაგოგები ცდილობენ, მოსწავლეებს შესთავაზონ მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისი დავალებები, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის პროგრესს. სკოლაში ფუნქციონირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)

	მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი: იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), მოქმედებს ისგ ჯგუფი და პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი რესურსოთახი (ადაპტირებული ავეჯითა და მასალით), სადაც სპეციალური მასწავლებელი მუშაობს მოსწავლეებთან ინდივიდუალური განრიგით. კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი პროდუქტები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და მოტივაციის გზებს. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას. სწავლების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეთა მზაობის დონის გათვალისწინებით სთავაზობს განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებებს. სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს მათ მოტივაციასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებს დავალების შესრულების დროს შეუძლიათ დამოუკიდებლად შეარჩიონ პერსონაჟები (სპრაიტები), დაამატონ დამატებითი ელემენტები ან გააფორმონ ნამუშევარი ხმოვანი ეფექტებით, მუსიკითა და ანიმაციით. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში,

	რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. სასწავლო პროცესში რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ***ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*** ***რჩევა:*** *სასურველია, თუ კათედრა ოთხივე საგნის კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.*

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრაზე მოქმედი მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების კომპლექსურ განვითარებაზე. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების ობიექტურობას, სანდოობასა და ვალიდურობას. გამოყენებული შეფასების მეთოდები, როგორიცაა: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, ურთიერთშეფასება, სადიაგნოსტიკო შეფასება და სხვა, შესაბამისობაშია საგნობრივ სტანდარტებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ეფექტიან მონიტორინგს. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სამივე საფეხურზე***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიანი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და განმავითარებელი შეფასების სისტემები. თითოეული ტიპის შეფასება ხდება წინასწარ ფორმულირებული, სტანდარტის შედეგებზე - სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული და შესასწავლი თემის, საკითხის შინაარსობრივ კონკრეტიკაზე დაყრდნობით, შეფასების კრიტერიუმებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ, ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარების განვითარებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და ორიენტირებულია მათ განვითარებაზე. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

უცხოური ენები	შეფასება მიმართულია მოსწავლის უნარებისა და ცოდნის განვითარებაზე. სამივე საფეხურზე მოქმედებს განმავითარებელი და სამ კომპონენტიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ჩანს, რომ მოსწავლეები ფასდებიან წინასწარ შემუშავებული რუბრიკებით. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი,საბაზო,საშუალო) ესთეტიკური საგნების სწავლებისას ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, სწავლების პროცესში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმა: მასწავლებლის უკუკავშირი, ნამუშევრების ანალიზი..ესსე, პრეზენტაცია , თვითშეფასება, და ა.შ . ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგზე, არამედ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე, შემუშავებული აქვთ შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი (დაწყებით საფეხურზე მეხუთე-მეექვსე კლასებში), ასევე განმავითარებელი შეფასებებით. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები. კათედრამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურისათვის. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
მათემატიკა	კურიკულუმებთან ერთად საგნობრივ ექსპერტს გადმოეგზავნა ზოგადი შეფასების რუბრიკები, გასაუბრების შემდეგ კი თემების მიხედვით დაკონკრეტებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რაც მიუთითებს შეფასების სისტემის სტრუქტურულად არსებობაზე. გასაუბრებისას კი გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ ეს რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის, განვითარების დინამიკისა და საჭიროებების გამოვლენაზე, ხოლო წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (შეფასების რუბრიკები) უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, მოსწავლეთა ჩართულობას თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. ***ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალებები; კათედრის სამოქმედო გეგმა; კათედრის სხდომის ოქმი; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სადამრიგებლო პროგრამები; ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა; მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების დოკუმენტები;მშობელთა კრების ოქმები; სასკოლო სასწავლო გეგმა, სსგ დაწყებითი საფეხური.
- ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:***
- *საგნობრივი კურიკულუმი კომპიუტერულ ტექნოლოგიებში.*
- *ციფრული განვითარების გეგმა.*
- *საგნობრივი კურიკულუმი ბუნებისმეტყველება.*
- *საგნობრივი კურიკულუმი ბიოლოგია(საბაზო-საშუალო საფეხური)*
- *საგნობრივი კურიკულუმი ქიმია(საბაზო-საშუალო საფეხური).*
- *საგნობრივი კურიკულუმი ფიზიკა(საბაზო-საშუალო საფეხური).*
- *ინტეგრირებული გაკვეტილის გეგმა(ბიოლოგია-ფიზიკა).*
- *კათედრის სხდომის ოქმი.*
- *მოსწავლეთა მიღწევების სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
- *ინდ გეგმები.*
- *მოსწავლეების შემოქმედებითი დავალებები.*
- *კლუბის წესდება.*
- *პროექტის(,,დედამიწა ჩვენი სახლია”) გეგმა.*

- ***ესთეტიკური აღზრდა:***
- *სკოლის სასწავლო გეგმა 2025-2026.(დაწყებითი/საბაზო/საშუალოსაფეხური);*
- *კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;*
- *კათედრის სხდომის ოქმი N1, N 2 .*
- *კათედრის სამუშაო გეგმა.*
- *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე;*
- *მუსიკის საგნის კურიკულუმები დაწყებით / საბაზო .*
- *დიაგნოსტიკური წერის ანალიზი მუსიკაში .*
- *დიაგნოსტიკური წერის ანალიზი ხელოვნებაში*
- *ინდ გეგმა ხელოვნებაში.*
- *ინდ გეგმა მუსიკაში*
- *კოლეგების უკუკავშირი;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები.*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ხელოვნებაში.*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მუსიკაში*
- *ინტეგრირებული გაკვეთილი გეგმა*
- *პროექტის შეფასება და თვითშეფასება*
- ***სახელმწიფო ენა:***
- *სამივე საფეხურის კურიკულუმები;*
- *კათედრის სხდომის ოქმი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;*
- *ისგ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და პედაგოგებთანნ გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სწავლების პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი პედაგოგიური სტრატეგიები, მათ შორის კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან სამივე საფეხურზე***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები 2025-2026 სასწავლო წლისათვის შემუშავებული კურიკულუმებია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები. სწავლება ემყარება ესგ-ს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით

	დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. პედაგოგებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე მუდმივად მუშაობენ კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე. *ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის სასწავლო საქმიანობა ეყრდნობა სასკოლო კურიკულუმს. დაგეგმილი აქტივობები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. **რჩევა:** მუშაობის დაგეგმვისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი. იმ შემთხვევაში, როცა კურიკულუმში ხდება ცვლილებები, დროულად იქნეს შეტანილი შენიშვნა შესაბამის დოკუმენტში. *ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში დაფუძნებულია ეროვნულ სასკოლო კურიკულუმზე. გაკვეთილები იგეგმება თემატური ერთეულებისა და მიზნობრივი სწავლის შედეგების მიხედვით. სწავლების შინაარსი შერჩეულია კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და მიზნად ისახავს მოსწავლეთა მხატვრული აღქმისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მიდგომები ამ ეტაპზე სისტემურად არ გამოიყენება, პროცესი ეფექტიანად ეხმიანება კურიკულუმით დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სწავლების მიზნობრივობას. მნიშვნელოვანია საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების გაძლიერება, *ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. *ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*

მათემატიკა	კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი სამივე საფეხურზე კარგად ფარავს სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. ასევე, გასაუბრებისას აღნიშნეს რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე ხშირად ცვლიან თემათა თანმიმდევრობას თუმცა კურიკულუმებში შესაძლოა ეს ცვლილება არ აისახოს, გამორჩეთ. **რჩევა: საბაზო საშუალო საფეხურზე** სასწავლო პროცესის თანმიმდევრობა ემთხვეოდეს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემათა თანმიმდევრობას. თუ კლასის საჭიროებიდან გამომდინარე საკითხები გადანაცვლებულია, დამატებულია და ა.შ. ეს ცვლილებები აისახოს კურიკულუმებშიც. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები, აქტივობებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სასწავლო აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

	რჩევა: სასურველია მოეწყოს კათედრის წევრების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანამიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა მოქნილად რეაგირებს პრაქტიკაში წამოჭრილ ნებისმიერ შემხვედრ საჭიროებაზე. ეს ბალანსი მკაფიოდ ვლინდება მოსწავლეთა შემოქმედებით პროდუქტებზე (კომპლექსურ დავალებებზე) მუშაობის პროცესში, სადაც წარმოქმნილი საჭიროებების მიხედვით ხდება აქტივობების მოდიფიცირება. კურიკულუმის მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის გადასინჯვა მუდმივი პროცესია, რომელიც პედაგოგების მიერ შეგროვებულ ცოცხალ მონაცემებსა და კათედრის სხდომებზე მათ სისტემატურ ანალიზს ეყრდნობა. სკოლის დირექცია და კათედრები ოპერატიულად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პრობლემების გადასაჭრელად და ინოვაციების დასანერგად. ეს მოქნილობა პირდაპირ აისახება დაწყებითი კლასების კათედრის სამოქმედო გეგმაშიც, სადაც სასწავლო პროცესის განახლების მიზნით გაწერილია შემოქმედებითი დავალებების განხორციელება („ჩვენი ეზო“, „ველოდებით სტუმრებს“), კათედრის წევრთა ურთიერთდასწრება, ინტეგრირებული გაკვეთილები და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების განახლების საჭიროების დადგენა. გარდა ამისა, სკოლაში მმართველობითი და დამხმარე სფეროები (ფინანსები, ინფრასტრუქტურა) იმართება არა ხისტად, არამედ უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა, შეესაბამება მოქმედ ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტს და ეფუძნება გამჭვირვალე, ობიექტურ და თანმიმდევრულ პროცედურებს. შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები და კრიტერიუმები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს შედეგების სიზუსტეს და სანდოობას. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან სამივე საფეხურზე***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში მეტნაკლებად განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ძალისხმევას და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია, თუ კონკრეტულად რა კრიტერიუმებით ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტებსა და უნარებს, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
უცხოური ენები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობაზე, გამჭვირვალობაზე, სანდოობასა და ობიექტურობაზე. უცხოური ენების კათედრის წევრები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. მოსწავლეები კარგად იცნობენ წარმოდგენილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა სკოლაში ემყარება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები, და შეფასებული კომპლექსური დავალებები. შეფასების სქემები ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგების მიხედვით არის გაწერილი და არის როგორც ზოგად ხასიათის ასევე შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავებულია სამიზნე ცნებასთან მიმართებაში; განმავითარებელ შეფასებაში, ასახულია რეკომენდაციები და მოიცავს კომპონენტებს: დაზუსტება; წახალისება; რჩევა . აღწერა, შეფასება. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. დავალებები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

მათემატიკა	სკოლამ გადმოაგზავნა ჯერ ზოგადი, შემდეგ კი ცალკეული თემის მიხედვით შეფასების რუბრიკის თითო ნიმუში, რითაც გამოჩნდა მცდელობა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი . **რჩევა:** ეხება ყველა საფეხურს. სასურველია შეფასების რუბრიკების არსებობა ყველა თემის შესაბამისად რაც გაწერილია კურიკულემებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ამ რუბრიკებში ქულათა განაწილებას. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებელთან ინტერვის დროს გაირკვა, რომ შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, მოსწავლეთათვის წინასწარაა ცნობილი. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, რადგან შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან და მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალების შინაარსთან. შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება ხელს უწყობს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას, რადგან მოსწავლის მიღწევები ფასდება სხვადასხვა აქტივობისა და ინსტრუმენტის საფუძველზე. ამასთან, დოკუმენტაციის შესწავლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების **ვერიფიკაციის მექანიზმი,** რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამატებით მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას.

	შესაბამისად, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გადმოგზავნილი აქვთ შეფასების რუბრიკები და დიაგნოსტირების დოკუმენტები. მათი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. ***ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი დამტკიცებულია დირექტორის მ/შ 2026 წლის 20 მაისის ბრძანებით (MES 0 26 0000599699). მისი მიზანია დაადასტუროს, რომ მოსწავლეთა შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. ვერიფიკაცია ხორციელდება როგორც გეგმიურად (კათედრების მიერ), ისე დირექციის ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (გამოცდების ან დიაგნოსტირების დროს). პროცესი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების (ესე, პროექტი, პრეზენტაცია და სხვ.), მტკიცებულებათა არსებობა-საკმარისობის, წინასწარი ინფორმირების, დროისა და საგამოცდო გარემოს შემოწმებას. შემოწმების შედეგად მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება: სრული, ნაწილობრივი ან შეუსაბამო. ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელნი არიან კათედრის ხელმძღვანელები როტაციის პრინციპით (მაგალითად, დაწყებით კათედრას ამოწმებს ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი) ან საჭიროების შემთხვევაში — დირექტორის მიერ შექმნილი საგამოცდო კომისია. შემოწმება ტარდება წელიწადში ერთხელ ყველა საგანში, თითოეულ კლასში მოსწავლეთა ნამუშევრების 20%-ის მიხედვით, ხოლო ვერიფიცირებული მასალები და მტკიცებულებები სკოლაში სავალდებულო წესით ინახება 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში მკაცრად არის მოწესრიგებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და შეფასებების დოკუმენტირების სისტემა. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ოფიციალური მოთხოვნების შესაბამისად, შეფასების პროცესში დაგროვილი ყველა სახის მონაცემის, ინფორმაციისა და ფიზიკური თუ ელექტრონული მტკიცებულების სათანადო აღრიცხვა და საარქივო სივრცეში შენახვა სავალდებულოა არანაკლებ 3 წლის ვადით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულ გამჭვირვალობას, იცავს მოსწავლეთა უფლებებს და იძლევა შეფასების სისტემის მდგრადი მონიტორინგისა და დინამიკური განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნულ დოკუმენტებს სკოლა ინახავს საქმისმწარმოებლის სამუშაო კაბინეტში არსებულ რკინის სეიფში.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- ***შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი***
- ***დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება N*** *(MES 0 26 0000599699)*
- ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:*** *ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალებები; კათედრის სამოქმედო გეგმა; კათედრის სხდომის ოქმი; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სადამრიგებლო პროგრამები; ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა; მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების დოკუმენტები; მშობელთა კრების ოქმები; სასკოლო სასწავლო გეგმა, სსგ დაწყებითი საფეხური.*

სახელმწიფო ენა:

სამივე საფეხურის კურიკულუმები;

- *კათედრის სხდომის ოქმი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;*
- *ისგ.*
- ***მათემატიკის კურიკულუმები***

- *შეფასების რუბრიკის ნიმუშები*
- *შემოქმედებითი დავალების ბარათები.*
- *ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუში.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში ეფექტურად გამოიყენება,როგორც ძირითადი ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები.აღნიშნული რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებთან. ძირითადი სასწავლო რესურსები ხელს უწყობს საგნობრივი სტანდარტების მიღწევას, ხოლო დამხმარე რესურსები ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. კურიკულუმით განსაზღვრული რესურსი ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, უზრუნველყოფს სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებას. რესურსები მიზნობრივია და ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკობრივ შესაძლებლობებს. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან სამივე საფეხურზე***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. დამხმარე რესურსის ფარგლებში ფართოდ გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ვიდეო რესურსები. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ დამხმარე რესურსებად ასევე, იყენებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია მაგალითები შედარებისთვის. დამხმარე რესურსების ნუსხა წარმოდგენილია კათედრის სხდომის ოქმის დანართში. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია გაკვეთილის მიზნების მისაღწევად მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად.

	ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას დაწყებით და საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც გრიფირებულ ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ხელოვნების გაკვეთილებზე, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ვიზუალურად და პრაქტიკულად გამდიდრებას. გასაუბრებისას გამოიკვეთ, რომ , მუსიკის სწავლებისას პროცესში სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებას იყენებენ თუმცა კურიკულუმში არ არის მითითებული. *ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული/ შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. *ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
მათემატიკა	კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები სტანდარტულად, — სახელმძღვანელოები, GeoGebra, Desmos და Khan Academy. რესურსების ჩამონათვალი ზოგადია (როგორც ზემოთ აღნიშნა ექსპერტმა), თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იყენებენ კონკრეტულ რესურსს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისას (მაგ.GeoGebra-ს და Desmos-ს გრაფიკების ასაგებად და ა.შ.) *ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. *ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს.

	ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა school.emis.ge, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. დამატებით, მასწავლებელი იყენებს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა YouTube, ინტერნეტის საძიებო სისტემები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებაში, თემების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამასთანავე, მასწავლებელი ქმნის საკუთარ ციფრულ სასწავლო რესურსებს (პრეზენტაციები, ინსტრუქციები, სავარჯიშოები), რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ადაპტირებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების მიხედვით. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და აქტიური, ინტერაქტიული სასწავლო პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სახელმძღვანელოები, სამუშაო ფურცლები, ვიდეოები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. ***ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რესურსების შერჩევა და დამტკიცება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, საგნობრივ სტანდარტებთან და სასწავლო მიზნებთან. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განხილული და განსაზღვრულია საგნობრივი კათედრების მიერ. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
უცხოური ენები	დამხმარე რესურსების შერჩევისას კათედრა მოქმედებს შეთანხმებულად. უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსების ისე შერჩევა, რომ ისინი შესაბამისი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების აქტიური გამოყენება უზრუნველყოფს ხელოვნება/მუსიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას სამივე საფეხურზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე მათ აღნიშნეს რომ კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. დამხმარე სასწავლო რესურსებს მასწავლებლები არჩევენ კათედრაზე. გამოიყენება ისეთი მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
მათემატიკა	არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*** **რჩევა:** სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.

სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს) არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული და მოწოდებული ელ. რესურსი. კერძოდ; school.emis.ge. შესაბამისად, შეიძლება მივიჩნიოთ რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოყენებული ძირითადი რესურსი არის ვალიდური (ასაკობრივად, თემატურად შესაბამისი, უსაფრთხო გამოყენების თვალსაზრისით). რაც შეეხება დამხმარე სასწავლო რესურსებს, სკოლის მიერ განსაზღვრულია მისი ვალიდაციის კრიტერიუმები, კერძოდ : სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა, სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, რესურსის სანდოობა, სასწავლო რესურსის გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა. ხოლო მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსების შექმნის შემთხვევაში სკოლა თითოეულ მასწავლებელმა ავალდებულებს გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები: • განსაზღვროს რამდენად უწყობს ხელს რესურსი სწავლის უნარის განვითარებას და ინტეგრირებას, მასალის სიღრმისეულ წვდომას; • დადგინოს ლოგიკური კავშირი გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის; • რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი (გასაგები), სანდო წყაროებიდან მოპოვებული, გარკვეულ სქემას მორგებული და თანმიმდევრული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმები და შეუძლია უზრუნველყოს ამ რესურსების ვალიდაცია. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე არჩევს დამხმარე რესურსებს. პროცესში რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია დასტურდება

	საგნობრივი კათედრების ოქმებში. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. *ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების გასანვითარებლად და სწავლებისას პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, სკოლას არ აქვს სასკოლო ლაბორატორიული სივრცე და ინვენტარი. **რეკომენდაცია:** სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, საიდანაც ირკვევა, რომ შეუსაბამობის აღმოფხვრას - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით უზრუნველყოფას გეგმავს 05.03. 2027 -მდე პერიოდში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ **2.2.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული საბაზო და საშუალო საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კლას-კაბინეტებში განთავსებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისთვის შესაბამისი რესურსი: რუკები, პლაკატები, გლობუსი. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი. რესურსები ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. *ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან*
უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით. სივრცე ათვისებულია გონივრულად. მოსწავლეებს გააჩნიათ ძირითადი და აუცილებელი სასწავლო რესურსები. უცხოური ენების გაკვეთილებზე მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეებისთვის აუდიო მასალის მიწოდებას. **რჩევა:** სასურველია, უცხოური ენების კათედრისთვის ცალკე იყოს გამოყოფილი აუდიო აპარატურა.

	ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
ესთეტიკური აღზრდა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. ***ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. კლას-კაბინეტებში განთავსებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისთვის შესაბამისი რესურსი: რუკები, პლაკატები, გლობუსი. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი. რესურსები ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
მათემატიკა	ზოგიერთ კურიკულუმში და დავალების ბარათებში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფილია და იყენებენ კიდეც. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და სასწავლო გარემოს სურათების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს ავეჯით აღჭურვილი კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია, კომპიუტერების რაოდენობა სასწავლო ლაბორატორიაში არ არის საკმარისი რაოდენობის, მაგრამ მოსწავლეებს თვითონ მოაქვთ პირადი ლეპტოპები და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად.

	ინტერნეტში ჩართული აქვთ კომპიუტერები, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ასევე ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. დამატებით გამოიყენება ს სხვადასხვა ვიზუალური რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში დასაქმებული 23 მასწავლებლიდან აბსოლუტური უმრავლესობის კვალიფიკაცია და პროფესიული სტატუსი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას — მათგან 1 არის წამყვანი, ხოლო 18 უფროსი მასწავლებელი, 1 მაძიებელი რაც ქმნის ბაზისს სასკოლო კურიკულუმის განხორციელებისთვის. მიუხედავად ამისა, ადამიანური რესურსების მართვის ნაწილში ვლინდება მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც პირდაპირ კავშირშია საგნობრივი კურიკულუმების სრულფასოვან და კვალიფიციურ მიწოდებასთან.

კერძოდ, ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ სკოლაში რამდენიმე საგანში სასწავლო პროცესს წარმართავს შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პირი (ქართული 7 საათი, მე და საზოგადოება 4 საათი, სპორტი - 6 საათი, ფიზიკა — 12 საათი, და სამოქალაქო განათლება — 2 საათი და არჩევითი საგანი მედიაწიგნიერება 2 საათი). აღნიშნული პრობლემის მოგვარებისა და საათების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სკოლის მხრიდან რეაგირება იყო არასაკმარისი და არათანმიმდევრული. უახლოეს წარსულში სკოლამ მასწავლებელთა დასაქმების სახელმწიფო პორტალზე ვაკანსია გამოაცხადა მხოლოდ ფიზიკის საგანზე (2026 წლის აპრილში). შესაბამისად, აღნიშნულ საგნებში კვლავ რჩება შეუსაბამობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს შიდა რესურსით ამ პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მასწავლებლების პირადი საქმეები

- *https://teacherjobs.ge/98440 (ბოლო დათვალიერება 31.05.2026)*
  https://teacherjobs.ge/92239 (ბოლო დათვალიერება 31.05.2026)
  ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: *ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალებები; კათედრის სამოქმედო გეგმა; კათედრის სხდომის ოქმი; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სადამრიგებლო პროგრამები; ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა; მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების დოკუმენტები; მშობელთა კრების ოქმები; სასკოლო სასწავლო გეგმა, სსგ დაწყებითი საფეხური.*
  სახელმწიფო ენა:
- *სამივე საფეხურის კურიკულუმები;*
- *კათედრის სხდომის ოქმი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;*
- *ისგ.*

მათემატიკის კურიკულუმები

- *შეფასების რუბრიკის ნიმუშები*
- *შემოქმედებითი დავალების ბარათები.*
- *ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ოფიციალურად დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას. დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგი წარმოებს სამი ძირითადი მიმართულებით: მოსწავლის, მასწავლებლისა და სკოლის დონეზე. მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს — დირექტორის მოადგილესა და კათედრის თავმჯდომარეებს, რომლებიც წლის განმავლობაში აგროვებენ ცოცხალ მონაცემებს (მათ შორის, ურთიერთდასწრების ოქმებს, კურიკულუმის დანერგვის რეფლექსიებსა და მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშებს) და ახდენენ მათ სისტემატურ ანალიზს კათედრის სხდომებზე.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, არამედ იგი პირდაპირ განსაზღვრავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ შეფასების შედეგად მიღებული გამოცდილებისა და მონაცემების საფუძველზე, სასწავლო წლის განმავლობაში ან მის დასრულებისთანავე, კათედრები და სკოლის დირექცია შეიმუშავებენ ოპერატიულ რეკომენდაციებს და გეგმავენ კონკრეტულ ინოვაციებს გამოწვეული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მონიტორინგის შედეგები პირდაპირ აისახება მომდევნო წლის სასწავლო გეგმასა და კათედრის სამოქმედო სტრატეგიაში, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება სკოლაში ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების — მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების — მხარდაჭერასა და დახმარებაზე. პედაგოგებისთვის ეს პროცესი (მაგალითად, კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრება და რეფლექსია) წარმოადგენს პროფესიული განვითარებისა და კოლეგიური დახმარების საუკეთესო საშუალებას. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის კი, მონიტორინგის შედეგად მიღებული ცოცხალი უკუკავშირი გამოიყენება ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ინდივიდუალური სამუშაო გეგმების შესამუშავებლად და ისეთი შემოქმედებითი გარემოს შესაქმნელად, სადაც მაქსიმალურად არის დაცული თითოეული ბავშვის ინტერესი.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *კათედრების სამუშაო გეგმები*
- *კათედრების სხდომის ოქმები*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და თავად შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც გამორიცხავს ერთჯერად ან ცალმხრივ მიდგომას. შეფასების ობიექტურობისა და სანდოობის დასადასტურებლად წყაროებად გამოიყენება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა მიმდინარე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, სემესტრული და წლიური გამოცდების შედეგები, კლასის ან კონკრეტული მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირების მონაცემები, ასევე საგნობრივი კათედრების მიერ ჩატარებული შემაჯამებელი და შემოქმედებით-შემეცნებითი დავალებების შედეგები.

ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასების პროცესი ხორციელდება სხვადასხვა საჭიროებისა და შინაარსობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სისტემის მოქნილობას. დოკუმენტის მიხედვით, შეფასების ანალიზი და მისი ვერიფიკაცია შეიძლება დაიგეგმოს და განხორციელდეს სამი განსხვავებული კონტექსტური მოცემულობის საფუძველზე, როგორიცაა სასკოლო საზოგადოების ინიციატივა დაინტერესებული პირის განცხადების სახით (მაგალითად, როდესაც მოსწავლე ითხოვს სემესტრული ნიშნის ამაღლებას გამოცდის გზით), მმართველობითი კონტექსტი დირექციის ინიციატივით (წლიური გამოცდების, დიაგნოსტირებისა და მიმდინარე შეფასებებთან მათი შედარებითი ანალიზის დროს) ან საგნობრივი სასწავლო კონტექსტი, რომელიც საგნობრივი კათედრების მიერ მიმდინარე სასწავლო პროცესის გეგმიურ შეფასებას გულისხმობს.

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მონაცემთა შეგროვებისა და მოსწავლის ცოდნის კომპლექსურად შეფასების მიზნით, სკოლაში გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები. შეფასების სისტემა არ შემოიფარგლება მხოლოდ სტანდარტული გამოკითხვით და მოიცავს მოსწავლის მიერ შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი თუ ანალიტიკური პროდუქტის შემოწმებას, როგორიცაა ესეები, რეფერატები, საგნობრივი და მულტიდისციპლინური პროექტები, სასწავლო პრეზენტაციები, ლაბორატორიული კვლევები და სხვა პრაქტიკული სამუშაოები.

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

იმისათვის, რომ შეფასების სისტემა იყოს სამართლიანი და ობიექტური, სკოლა აანალიზებს არა მხოლოდ საბოლოო ნიშანს ან პროდუქტს, არამედ თავად შეფასების მიმდინარეობის თანმდევ ფაქტორებს. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაციისა და შეფასების პროცესში სავალდებულოდ არის გასათვალისწინებელი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფაქტობრივი გარემოებები და გარემო (რამდენად შესაბამის, ხელშემწყობ და თანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ მოსწავლეები შეფასებისას), დროის ფაქტორი (რამდენად

საკმარისი და ადეკვატური დრო იყო გამოყოფილი დავალების შესასრულებლად), წინასწარი ინფორმირებულობა (რამდენად დროულად და ამომწურავად იყვნენ მოსწავლეები ინფორმირებულები შეფასების პირობებისა და კრიტერიუმების შესახებ) და მტკიცებულებათა საკმარისობა, რაც განსაზღვრავს, თუ რამდენად იძლევა მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაო რეალური სწავლის შედეგის დადასტურების საფუძველს.

ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *კათედრების სამოქმედო გეგმები*
- *პედაგოგთა ურთიერთდასწრების ოქმები*
- *კათედრების ოქმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი სრულდება კონკრეტული, ქმედითი შედეგით, რაც გამოიხატება სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნაში. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მასწავლებელთა რეფლექსიებისა და კათედრის სხდომებზე მიღებული ცოცხალი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, სკოლის დირექცია და საგნობრივი კათედრები ოპერატიულად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად და სასწავლო პროცესში საჭირო ინოვაციების დასანერგად. ეს მიდგომა პირდაპირ აისახება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმშიც, სადაც ნებისმიერი საგნის ანალიზის შემდეგ დგება სპეციალური დასკვნა და მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება (სრული, ნაწილობრივი ან შეუსაბამო), რაც საფუძვლად ედება პედაგოგთა მხარდაჭერას, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების განახლების საჭიროებათა განსაზღვრასა და მმართველობითი სფეროების ოპტიმიზაციას.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლაში სასკოლო კურიკულუმის რევიზია და გადამუშავება არ ხდება ფორმალურად, არამედ წარმოადგენს უწყვეტ, დინამიკურ ციკლს, რომელიც მთლიანად ეყრდნობა მონიტორინგისა და შეფასების რეალურ შედეგებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განახლებული ვერსიის შემუშავებისას სრულად არის გათვალისწინებული წლის განმავლობაში დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება, საგნობრივი კათედრების მუშაობის შეჯამება, ურთიერთდასწრების ოქმების ანალიზი და მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტების დიაგნოსტირების მიგნებები. შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული ძლიერი მხარეები თუ ხარვეზები პირდაპირ განსაზღვრავენ კურიკულუმის მოდიფიცირებისა და პრობლემის გადაჭრის გზებს, რაც უზრუნველყოფს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო გეგმის თვისებრივ გაუმჯობესებასა და მის სრულ შესაბამისობას მოსწავლეთა შემხვედრ საჭიროებებთან.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
  კათედრების ოქმები
  კათედრების სამუშაო გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 25.06.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დავით ჩივაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნიკოლოზ წულაია

ლარისა ჯაფარიძე

მანანა ჯაყელი

მარგარიტა ჯიქია

ეკა მოსიაშვილი

ავთანდილ ცნობილაძე

მარინე კვარაცხელია

ჯულიეტა ტაბეშაძე

გიორგი ბერიძე

ნათია კოხოძე